საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 4 ოქტომბერი 2002 №188 (1710) — ფასი 50 თეთრი




„დინამოს" ახალბედა ლადო ახალაია და მისი თანაგუნდელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ჩეხთა მეკარე ანტონინ კინსკის მაინც ვერ გაუტანეს

## დინამო 0
## ლიბერეცი 1
## მარცხი, რომლისაც არ გრცხვენია

UEFA CUP

„დინამო" საპასუხო მატჩშიც დამარცხდა „ლიბერეცთან" და უეფას თასის გათამაშებას გამოეთხოვა. მაგრამ ეს არ იყო საკუთარი თავის და ქომაგის შეურაცხმყოფელი დამარცხება, როგორაც ამ ზაფხულს დამარცხდნენ „ტორპედო" და „ლოკომოტივი" და როგორც მარცხდებოდა თავად „დინამო" წინა წლებში. „რეალის", „ბარსელონას", „მანჩესტერისა" და სხვათა ქომაგ ქართველს ქართული გუნდის ქომაგობა გაახსენდა.

ეს იმედიანი მარცხი იყო, რადგან გულშემატკივარმა, როგორც იქნა, დაინახა გონივრული თამაშის ელემენტები, დაინახა, რომ გუნდს ჰყავს მწვრთნელი.

საერთოქართულმა სენმა, ქვასროლიობამ კვლავაც იჩინა თავი. ლიბერეცელი მწვრთნელ-ფეხბურთელების უზრდელობამ ქვასროლიებს დამატებითი საბაბი მისცა. მაგრამ ეს რა საბაბია და რა მოიგეს? „ლიბერეცი" კარგი ხასიათით წავიდა, „დინამოს" უეფასგან ჯარიმა არ ასცდება და შესაძლოა სტადიონსაც დისკვალიფიკაცია აჰკიდონ. ჰოდა, ახლა თქვი, რომ ქვასროლია „ეროვნულზე" საქომაგოდ მივიდა. და სად იყო პოლიცია? სამ წესრიგისდამცველს ნასროლმა ქვამ თუ ბოთლმა თავი გაუტეხა, მაგრამ ის ქვა და ბოთლი იმავ პოლიციელთა თვალწინ არ შეიტანეს სტადიონზე?

დინამოელთა გოლები გვერჩივნა, მაგრამ სამმა ქართველმა სხვაგან მაინც მოახერხა გატანა.

თემურ ქეცბაიამ და დავით მუჯირმა თავისი წილი დაიდეს „ანართოსისისა" და „შტურმის" შემდეგ წრეში გასვლაში. ირაკლი მოდებაძის გოლმა კი ლამის სასწაული მოახდინა და გათამაშებიდან გააგდო „ლიდსი", მაგრამ ზაპოროჟიეს „მეტალურგი" მაინც გატყდა. ევროთასს გამოეთხოვა შოთა არველაძის „რეინჯერსიც" ჩეხური „ვიქკოვისგან" 101-ე წუთზე გაშვებული გოლის წყალობით.

იხილეთ მეორე და მეთხუთმეტე გვერდები



UEFA CUP

# უეფას თასი 2002-2003

პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი

UEFA CUP

# თამაში მწვრთნელით ჯერ მხოლოდ ერთი ტაიმი



ჩეხთა მეკარე ანტონინ კინსკიმ ლადო ახალაიას ბურთი ფეხიდან აიცალა

**კობა ინასარიძე**

**თავს ზემოთ** ძალა არ არის. სადღეისოდ თბილისის „დინამო“ ვერ აღმოჩნდა ის გუნდი, ჩეხურ „ლიბერეცს“ უეფას თასის პირველი ეტაპიდან რომ გაისტუმრებდა.

მართალი იყო თბილისელთა მწვრთნელი ივო შუშაკი, მატჩამდე რომ ამბობდა, ჩვენი მეტოქე ევროპული კლასის გუნდია და მისი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდებაო. მართლაც ძალიან გაუჭირდათ მასპინძლებს, გაუჭირდათ და ბოლოს ის ერთადერთი გოლიც მიიღეს, რომელმაც ჩეხებს თავი ქუდში დააგულებინათ. კლასმა და ევროპულმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

კაცს ენა არ მოგიტრიალდება, თქვა, „ლიბერეცს“ ერთი მორიგი მატჩი ჰქონდა და როცა დასჭირდა, გოლიც მაშინ გაიტანაო. „დინამომ“ რაც შეეძლო, გააკეთა, გააკეთა ნამუსიანად და გულით, ქომაგმა კი, ეროვნულ სტადიონზე დასაშვებ ნორმას ბევრად რომ სჭარბობდა, ტრიბუნა დატოვა გულდაწყვეტილმა, დამწუხრებულმა და არა შეურაცხყოფილმა, რასაც ასე ნაჩვევნი ვართ.

„დინამოს“ შესრულებით გუშინ ფეხბურთი ვნახეთ, ვნახეთ ევროპული, თანამედროვე ფეხბურთის ფრაგმენტები. ვნახეთ მწვრთნელი, ვისი ნათქვამიც, აშკარად ჩანს, ფეხბურთელებს მოედანზე გადააქვთ. ჩვენებს, აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, ნაკლიც საკმაოდ ჰქონდათ და შესვენების შემდეგ, როგორც კი სტუმრებმა კლანჭებს მოუჭირეს, ეს ნაკლი უფრო თვალში საცემი გახდა „დინამო“ დაიბნა და თავი დაკარგა, ერთი ხანი ითამაშა დღევანდელი ქართული ფეხბურთი, რასაც ნაკრებიდან დაწყებული ეროვნული ჩემპიონატის ნებისმიერი გუნდი თამაშობს, თუმც ნაკრებისგან თუ კლუბებისგან განსხვავებით, დინამოელებს 90 წუთი არ დაუკარგავთ ჟინი და მაყურებლის პატივისცემა. ამიტომაც იყო, ბიჭებს ნამატჩევს ქომაგმა რომ მადლობა გადაუხადა. თვალი ყველაფერს ამჩნევს და არჩევს, ზერელედ და გულიანად ნაკეთებ საქმეს.

მოდით, ახლა მთავარიც ვთქვათ. ის, რომ საქართველოს ათგზის ჩემპიონები პროგრესის გზაზე დგანან და დღეს თუ არა, ხვალ მათგან უკეთეს თამაშს, უკეთეს შედეგს უნდა ველოდოთ. უმთავრესია ისიც, რომ ამ გუნდს მწვრთნელი ჰყავს, რომელმაც იცის და ცოდნა ფეხბურთელებამდე მიაქვს. აღარაა „დინამო“ ის გუნდი, ვისიც ქომაგს შერცხვება.

...შუშაკმა ნაჩვევ საშინაო ტაქტიკურ სქემას არც ამჯერად უღალატა. მრავალნაცად შემადგენლობაში კი ერთი ცვლილება გააკეთა, თავდასხმაში დარასელიას მიქაძის ნაცვლად გამოჯანმრთელებული ახალაია შეუწყვილა. ფლანგები სახვაძე-კარლოსის იყო, შუა მოედანი ანჩაბაძე-ბურდულ-გოგობერიშვილისა, ვინც, სხვათა შორის, მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, დაცვა ძველებურად ამისულაშვილი-შაშიაშვილ-ვაშაკიძის იმედად. სტუმართა მწვრთნელმა კლასიკური 4-4-2 ირჩია და შესვენებამდე „დინამოს“ ოდნავ რომ გაემართლებოდა, ვიტყოდით, შკორპილის სქემა გაირღვაო. ამის თქმა ახლაც შეგვიძლია, თუმც ფლანგებიდან მასპინძელთა გამუდმებულ შეტევებს გოლი რომ მოჰყოლოდა, საქმე სხვაგვარად იქნებოდა.

„დინამო“ პირველსავე ტაიმში დაიგეშა საგოლედ და მეტოქის კართან შტურმისმაგვარიც მოაწყო. ცხადია, თბილისელთა წარმატების შემთხვევაში „ლიბერეცის“ თამაში მყისვე შეიცვლებოდა, სტუმრების დაცვის ჯებირები მოინგრეოდა და შეტევა გაძლიერდებოდა. ასეთ დროს კონტრშეტევის წამოწყება სისწრაფისა და ტექნიკის საქმეა, რაც დინამოელებს არ აკლიათ. მაგალითად, იყო ეპიზოდი, როცა მასპინძლებმა მეტოქის შეტევა საჯარიმოში ჩაშალეს და სამი პასით კინსკის კართან მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს — შაშიაშვილმა ბურთი საჯარიმოდან ამოიტანა და კარლოსს მიაწოდა, მან ერთი შეხებით ბურდულს გაუთამაშა კედელი და მეტოქის საჯარიმოსთან დარასელიამ მცველი უბურთოდ ფლანგზე რომ გაიტყუა, კარლოსს თავისუფალი ზონა შეექმნა, მისი დარტყმული კი კინსკის ხელიდან გაუვარდა და ბურთი კარის ხაზზეღა დაიჭირა. სიტყვამ მოიტანა და, ჩვენდა გასაკვირად, „დინამომ“ კარისკენ სულ ექვსჯერ დაარტყა. არადა, მოედანი ნაწვიმარი იყო და შესაძლო გახლდათ, როგორც ზემოთქმული ეპიზოდისას, მეკარეს ბურთი ვერ შეეკავებინა. თუმც შუშაკმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ „მოკრძალება“ შორეული დარტყმებისადმი თავისებურად ახსნა — მეტოქეს ცენტრალური ნაწილი საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი, იქიდან შეტევა რთული იყო და ვამჯობინეთ, ფლანგებიდან შეგვეტიაო.

პირველი ტაიმის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა აშკარად ჩანდა, „ლიბერეცის“ თამაშში რაღაც უნდა შეცვლილიყო. შეიცვალა კიდეც და ამით „დინამომ“ წააგო. „შესვენებისას ბიჭებს ვუთხარი, ლიბერეცში 3:2 მოვიგეთ, მასპინძლებმა სწრაფი გოლი ვერ გაგვიტანეს და ახლა აჩქარდებიან, ანერვიულდებიან, თქვენ კი არ აჰყვეთ, სივრცეები მაქსიმალურად შეზღუდეთ-მეთქი“ — თქვა ნამატჩევს შკორპილმა. მეორე ტაიმში „ლიბერეცი“ უკვე სხვა გუნდი იყო და სწორედ მაშინ გამოჩნდა „დინამოს“ ის სისუსტე, ზემოთ რომ ვთქვით. ჩვენებმა პრესინგს ველარ გაუძლეს, დაიბნენ და გოლი გაუშვეს. ჯერ ერთი, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა, რამდენიმე წუთში კი — მეორე. შეცვლაზე ოთხი წუთის შესულმა აჩიჩმა მარჯვენა ფლანგზე ბურთი იქამდე ატარა, სანამ საპირისპირო ფლანგზე კარლოსის ზურგს უკან ეულად მიტოვებული ზბონჩაკი არ დალანდა. აჩიჩმაც ჩააწოდა და სადღაც საჯარიმოს კუთხესთან ბურთი ფეხზე დაასვა თანაგუნდელს. კარლოსი უსაქმოდ დარჩა, ზბონჩაკმა კი შეუჩერებლად დაარტყა და თამაშიც დააწყნარა, სტუმრად გატანილმა „დინამო“ გატეხა.

ორი გოლი ევროთამაშებნაკლული თბილისელებისთვის ნამეტანი საძნელო საქმე იყო, თუმც არა შეუძლებელი. „დინამომ“ მატჩის მიწურულს ძალა მოიკრიბა, შუშაკმა დარასელიას ორი თავდამსხმელიც დაამატა და... 90-ე წუთი, სამხარაძეს ჩეხთა საჯარიმოში ძრომალისას, ლუკაშმა ფეხი გამოსდო და მსაჯიც უყოყმანოდ პენალტის ნიშნულისკენ გაქანდა. მატჩის გადარჩენის იმედი ისევ გაჩნდა, ბურდულმა კი დარტყმული კარს ააცილა. მატჩიც წუთშივე დამთავრდა. არადა, პენალტი რომ გასულიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ლატვიელი არბიტრი რომან ლაიუკსი თამაშს ოთხ-ხუთ წუთსაც დაამატებდა. არბიტრი, რომელმაც მასპინძელს მასპინძლისა არაფერი დაუკარგა.

და კიდევ — „ლიბერეცის“ მსგავსი ბინძური გუნდი ბოლო ხანს თბილისში არ ჩამოსულა. რაც მწვრთნელია — უხიაგი და გამომწვევი, გუნდიც ისეთივე ჰყავს. სტუმრებს, ხელმძღვანელ-ფეხბურთელებიანად უხამსი, არაკაცური ჟესტებით ქართველი ქომაგის გაღიზიანება სურდათ და ეს საბოლოოდ გამოუვიდათ კიდეც. გულშემატკივარმა ნერვები ველარ დაიოკა და კაკლით დაწყებული და ქვითა და ბოთლით დამთავრებული, ყველაფერი მოედანზე მოისროლა. არბიტრმა ამის გამო მატჩი რამდენჯერმე შეაჩერა კიდეც, თუმც უეფასთვის წარსადგენ პატაკში რას დაწერს, თავად იცის. „ლიბერეცის“ ერთ-ერთ მოხელეს კი, დასავლეთ ტრიბუნას არჩათვლილი გოლის შემდეგ შუა თითი რომ უჩვენა, ქომაგის ნაცვლად პოლიციის სპეცრაზმის მეთაურისგან მოხვდა. აი, ასე.

ჩვენ კი ევროპისგან ზაფხულამდე დავისვენოთ და ოსტატობაამაღლებული „დინამოსგან“ გაისად სხვა ლიბერეცების დამარცხება მოვითხოვოთ. გუშინდელი თამაშისთვის კი „დინამოს“ მადლობა ვუთხრათ, კაცური ბრძოლისთვის... ქართული გუნდებისგან ხომ რა ხანია, ბრძოლა აღარ გვინახავს.

თბილისი. 3 ოქტომბერი. 19 საათი. [illegible] 45 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 0:1 ლიბერეცი

0:1 ზბონჩაკი (64)




შეცვლები: ჩაპკა — 4. აჩიჩი (60), ახალაია — 20. მიქაძე (72), სლეპიჩკა — 5. ზაპოტოჩნი (79), სახვაძე — 23. სამხარაძე (80), ნეზმარი — 20. ბლაჰა (90)

მსაჯები: რომან ლაიუკა; სერგეის ბრაგა, იანის მეკაიბსი; ანდრეის სიპაილო (ყველა ლატვია)

უეფას დელეგატი: მეთინ კაზანჩოღლუ (თურქეთი)

ჯარიმა: 10-21; კუთხური: 8-6; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 3-3

## პრესკონფერენცია

*ვლადისლავ შკორპილი, „ლიბერეცის“ მწვრთნელი:*

— დრამატული მატჩი იყო, ძალიან საინტერესო. „დინამომ“ ჩინებულად ითამაშა. თბილისელებმა სისწრაფითა და ტექნიკით ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. ჩვენი გამარჯვება პირველ ყოვლისა მეკარის ჩინებულმა თამაშმა განაპირობა. დინამოელთაგან დიდი ტრადიციების გამგრძელებელ დარასელიას გამოვარჩევ, ჩემი გუნდიდან კი ჰოლანაკს.

*ივო შუშაკი, „დინამოს“ მწვრთნელი:*

— ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ. მათ საყვედურს ვერ ვეტყვი. დღეს დიდ გუნდს ვეთამაშეთ და არ დავჩაგრულვართ, პირიქით, იყო ეპიზოდი, როცა ვაჯობეთ კიდეც. 90 წუთი თამაში ჩვენ მოგვყავდა, თუმც დიდ გუნდთან ერთი შეცდომა საკმარისია, რომ დაისაჯო. სწორედ ასე მოგვივიდა. რომ მოგვეგო, ბედნიერები ვიქნებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. ძნელია თქმა, მომავალ ზაფხულს „ლიბერეცის“ დონის გუნდს დავამარცხებთ თუ არა, მაგრამ ერთს გპირდებით, „დინამო“ დღევანდელზე გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება და შრომა წყალში არ ჩაგვეყრება.



მატჩის ერთადერთი გოლი „დინამოს“ კარში გავიდა

# ვინ მიაწვდის მერანს შაქარს

## ლოკომოტივი ამბროსიჩის ხათრით, სიონი გამორიცხულია


ანზორ მამალაძე


ოთარ გაბელია

**ძნელია** საქართველოში ფეხბურთელობა. არა, თუ „დინამოს", „ტორპედოს", „ლოკომოტივისა" და „ვიტ ჯორჯიას" მოთამაშე ხარ, საწუწუნოდ ნამდვილად არ იქნება საქმე, მაგრამ აბა, „სინათლის" ბინადრებს ვკითხოთ, ოჯახებს რითი არჩენენ?

გუშინ „მერანმა" ვარჯიში ჩაშალა. ავჭალელებმა ბევრი ითმინეს, თუმც ენთუზიაზმით თამაშს თავისი ზღვარი აქვს. ვალების ასაღებად ნაცნობ-მეგობრებთანაც აღარ მიესვლებათ და მოთმინების ფიალაც აივსო.

ფეხბურთელები დიდი ხნის კუთვნილს მოითხოვენ, არადა, საკვირაო „მერანი" — „ლოკომოტივის" ჩაშლას აპირებენ. „უკიდურეს შემთხვევაში, ოთარ გაბელიას და ანზორ მამალაძის პატივისცემით, არ არის გამორიცხული, სათამაშოდ რკინიგზელებთანაც გავიდეთ, მაგრამ მომდევნო ტურში ბოლნისში წამსვლელები ნამდვილად არ ვართ" — ეს უკვე ავჭალელთა საბოლოო პოზიციაა.

ოთარ გაბელიამ გუშინ ფეხბურთელებს ერთი კი შეჰკადრა, ბიჭებო, კიდევ ცოტა მოვითმინოთო, მაგრამ შეგირდებს თვალებში რომ ჩახედა, შეცბა.

„რა უნდა ვუთხრა, ვარჯიში როგორ დავაძალო, ზოგი მათგანი ავჭალაში ნასესხები ფულით დადის. თავადაც იმის ფიქრში ვარ, „სინათლეზე" რა სახსრებით ვიარო. ფეხბურთელების უკან ოჯახები დგას. ზოგჯერ ყველაფერი რომ მახსენდება, ფეხბურთისკენ გახედვაც არ მინდა" — ოთარ გაბელიას „მერანის" მომავალი აღელვებს.

უარეს დღეშია კლუბის პრეზიდენტი ანზორ მამალაძე. მან ყველა გზა მოსინჯა. თავადაც ვალებში ჩაფლული გუნდის შემნახავი ნამდვილად არ არის.

„მხოლოდ ერთი გზაღა დამრჩა, დღეს მე და ოთარ გაბელია ერთ პიროვნებას შევხვდებით, რომლის ვინაობასაც ჯერ ვერ გავამხელ. „მერანის" ბედიც იქ გაირკვევა. ხვალ კი თქვენც ყველაფერი გეცოდინებათ. ან ავჭალაში ფეხბურთი იცოცხლებს, ანაც..." — მამალაძის ხმაში იმედის ნატამალი ძნელად შეიმჩნეოდა.

ხვალვე გაირკვევა, ითამაშებს თუ არა „მერანი" ეროვნულ ჩემპიონატში.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ალექსანდრე შეყრილაძე:
# ბოდიში მაინც მცლიათ

*ეროვნული ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩს „მეტალურგსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის დიდი სკანდალი მოჰყვა. ზესტაფონურ სტადიონზე მეორე ტაიმში შექმნილი უწესრიგობის გამო თამაში ჩაიშალა. მომხდარზე კარგად მოგეხსენებათ. მოგეხსენებათ ისიც, რომ სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა გუშინწინდელ სხდომაზე უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა „მეტალურგს" — 2002 წლის ბოლომდე აუკრძალა საკუთარ სტადიონზე თამაში, ხოლო ზესტაფონელთა მცველი ალეკო შეყრილაძე, რომელიც მატჩის არბიტრმა სოსო კახიანმა მოედნიდან გააძევა, ერთი წლით მოკვეთა ფეხბურთიდან.*

*დისციპლინარებმა ამ სანქციებით უმძიმესი დარტყმა მიაყენეს იმერულ კლუბს. ამაზე გუშინდელ „სარბიელში" ზესტაფონელთა დამრიგებელმა ზაურ ჩუბინიძემ გვითხრა.*

*გუშინ იყო, ალექსანდრე შეყრილაძეს ქუთაისში ქუჩაში გადავეყარეთ და სასჯელით დათრგუნული ძლივს აველაპარაკეთ*


ალექსანდრე შეყრილაძე (მარჯვნივ) ბურთს ერთი წელი ვერ გაეკარება

— დასასჯელი ნამდვილად ვიყავი, მაგრამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია?

**— არ გეკუთვნოდა? შენ ხომ არბიტრის ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაგდეს ბრალი?**

— არ ვუარყოფ დანაშაულს, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას, ჩვენმა მეკარემ მასთან პირისპირ დარჩენილი სტუმართა თავდამსხმელი საჯარიმოს გარეთ წააქცია. ეს ცამ და ქვეყანამ დაინახა. მაგრამ კახიანი პენალტს ნიშნავდა და ამან გამაგიჟა. საჯარიმოში არ ვუშვებდი, ხელებით ვაჩერებდი მსაჯს, არეულობაში რომელიღაც თანაგუნდელი უკნიდან დამეჯახა, უნებლიეთ ავიქნიე ხელი და ამ დროს მოხვდა სახეში მსაჯს. მისთვის განზრახ არ დამირტყამს. რატომ მალავს კახიანი 11-მეტრიანით დასჯას რომ გვიპირებდა, მის სინდისზე იყოს. თავიდანვე უბრალოდ რომ დავეჯარიმებინე, ხმას ვინ ამოიღებდა. ჩვენი მეკარეც გასაძევებული იყო იმ მომენტში. მსაჯი სიტუაციაში დროულად ვერ გაერკვა და ამას მოჰყვა ყველაფერი.

**— მსაჯისთვის შეგიგინებია კიდეც-**

— ვაღიარებ, ოღონდ ეს იმის შემდეგ იყო, რაც წითელი ბარათი მიჩვენა. მატჩის ინსპექტორიც იქ იდგა ამ დროს. კარგად მაქვს შეგნებული ჩემი დანაშაული, თუმც ახლა გვიანღაა. ნერვებს არ უნდა ავყოლოდი.

**— სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე თუ იყავი გამოძახებული?**

— არა. დაუსწრებლად დამსაჯეს ერთი წლით. ალბათ, წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი, თორემ მომისმენდნენ მაინც. მგონი, ასეთია წესი.

**— სასჯელის შემსუბუქებას შესთხოვდით კომისიას?**

— ბოდიშს მაინც მოვიხდიდი.

**— ერთი წელი რა უნდა აკეთო?**

— არც მე ვიცი. გამოდის, ფეხბურთს თავი საერთოდ უნდა დავანებო. 32 წლის ვარ უკვე

**— და ნახევარი ცხოვრება ბურთს აგორებდი.**

— სწორედ ამაზე მწყდება გული. ბევრი მითამაშია და არასდროს შევრცხვენილვარ. ახლა ქვეყნის დამქცევად გამომიყვანეს.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**


სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ ეროვნული
ნაკრების ფეხბურთელს
გოჩა ჯამარაულს
**მამის**
გარდაცვალების გამო



სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
**ბილიარდის მაგიდები** რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
**აქსესუარები**
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა. ხელსაყრელი პირობები და შეღავათები. განვადება
Zeus ზევსი Biliјardai
ტიტანი მასტერი
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

14

პირველი ეტაპი

10 ტური

**თბილისი. შევარდენი. 4 ოქტომბერი. 16 საათი**

### ვიტ ჯორჯია — გორდა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ჯავარიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**წყალტუბო. 26 მაისი. 5 ოქტომბერი. 16 საათი**

### ტორპედო — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (აბაშა); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: იონანიძე (ტორპედო), სიდამონიძე (სიონი)

**მცხეთა. არმაზი. 5 ოქტომბერი. 16 საათი**

### დილა — მილანი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ო. ხეცაძე, მ. ჟორჟაძე; ი. კახიანი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 5 ოქტომბერი. 16 საათი**

### მეტალურგი — კოლხეთი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ჯ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კიკაჩიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: ა. ლაბაძე, შეყრილაძე (ორივე მეტალურგი)

**თბილისი. სინათლე. 6 ოქტომბერი. 16 საათი**

### მერანი — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებული: სიდამონიძე (სიონი), არსოშვილი (გორდა)

**ბათუმი. ცენტრალური. 6 ოქტომბერი. 16 საათი**

### ბათუმი — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. ბარქაია
დისკვალიფიცირებული: არჩვაძე (ბათუმი)

# ღვინობისთვეში ზოგ-ზოგმა მარანი გამოიკეტა

**ა, ბატონო,** იმდენი ისროლეს ქვები ცოდვით ისედაც დამძიმებულ ქართულ სტადიონებზე, რომ დღემდე არნახული ტურის მოწმენი გავხდებით — ერთბაშად სამი გუნდი ნეიტრალურ მოედანზე ისტუმრებს მეტოქეს.

ქვანასროლი ეროვნული ჩემპიონატი დღეს განახლდება ნავთლუღში. მეათე ტურის პირველ მატჩში „ვიტ ჯორჯია" „გორდას" უმასპინძლებს.

გორში ქვათაყრამ „ვიტ ჯორჯიასგან" მიტოვებული „არმაზი" ერთი დღით დაუბრუნა ეროვნულ ჩემპიონატს, „დილა" სწორედ მცხეთაში მოიხდის ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას.

ქუთაისში „დინამოსთვის" ქვები რომ არ დაეყარათ, „ტორპედოც" შინაურ სარბიელზე ითამაშებდა, თუმც რა, წყალტუბო და ქუთაისი რამ გაყო. ასეთ შემთხვევაში დაჩაგრული უფრო „სიონი" გამოდის — ზედმეტი კილომეტრების გავლა მოუწევს წყალტუბოში წასასვლელ-ჩამოსასვლელად. არადა, იყო დრო, დებულებაში ეწერა, რომ სტადიონდისკვალიფიცირებულ გუნდს მშობლიური ქალაქიდან ასი კილომეტრის მოშორებით უნდა ეთამაშა. საქართველო ჯერჯერობით კი არის იმხელა, დებულების ამ პუნქტს ხელი რომ არ შეშლოდა, მაგრამ სფფ-მ ამ მხრივ რეგლამენტში ცვლილება ინება და დაისაჯა თუ არა „ტორპედო", თავად განსაჯეთ.

ხეირი „კოლხეთს"! გზა დაიმოკლეს სოსო ფილიას ბიჭებმა, წლის ბოლომდე შინიდან აბარგებული „მეტალურგი" სამტრედიაში დაუხვდება მეტოქეს.

ადრე ბათუმში „დინამოს" ჩასვლას დიდი ინტრიგა ახლდა. წლეულს სხვაგვარადაა საქმე, ბალაძის გუნდი არ ჰგავს შუშაკის ბიჭების გამჩერებელს, თუმც ვინ იცის, თამაშია და ყველაფერია მოსალოდნელი.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონატი ოქტომბრულ დროზე გადადის. ამ თვეში ყველა მატჩი 16 საათზე დაიწყება.

**ბაათა ძგანტალიანი**


კვირის ავჭალელ გიორგი ილურიძეს ტრავმირებული რკინიგზელი როინ ონიანი (№26) ვერ შეაჩუხებს

# დავით ყიფიანის თასი

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

**დავით ყიფიანის** თასის მეორე ეტაპი ჩატარდა და საუკეთესო რვა გუნდიც გამოვლინდა. მეტოქეები მხოლოდ თითო თამაშით არკვევენ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. არადა, დასანანია, რომ გორის „დილა 2"-ს შანსი არ მიეცა, შინ თბილისის „ვიტ ჯორჯია 2"-ს „რევანში" აეღო. მატჩი ძალიან „დაძაბული" გამოდგა. ახალგაზრდა ვეტერინარებმა თავიდანვე მოჰკიდეს საქმეს ხელი და... საწყენია, რომ გორელები პირველმა გოლმა გატეხა. საბოლოოდ მასპინძლებმა 19:0(!) დაჩაგრეს ქართლელები.

აქვე გთავაზობთ მეორე ეტაპის შედეგებს:

| | | |
|---|---|---|
| მაუდი | 1:1 (2:4პენ) | *ჰერეთი* |
| გორდა 2 | 2:3 | *ნორჩი დინამო* |
| *ვიტ ჯორჯია 2* | 19:0 | დილა 2 |
| *ყაზბეგი* | 1:0 | ცხუმი |

მესამე ეტაპის წილისყრის შედეგები უკვე ცნობილია, თუმც გაურკვეველია, წყვილის რომელი გუნდი ითამაშებს შინ. ამას ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში 7 ოქტომბერს 13 საათზე უყრიან კენჭს. გუნდები კი ასე დაწყვილდნენ:

| | | |
|---|---|---|
| ჰერეთი | — | ნორჩი დინამოელი |
| ვიტ ჯორჯია 2 | — | ყაზბეგი |
| კოლხეთი 2 | — | სქური |
| ჩიხურა | — | მეშახტე |

მესამე ეტაპის მატჩები 25 ოქტომბერს ჩატარდება.

**ქახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. A ჯგუფი

# რა დრო გასულა

## დორტმუნდმა უპიცფელდოდ მოიგო



ოსერი — არსენალი. ტიერი ანრიმ ორ ფრანგს ხელი ჩაავლო, მოახლოვება არ გაბედოთო

**ოსერი 0:1 არსენალი**

0:1 ჟილბერტო სილვა (48)

ოსერი: ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტურე, ფეე, ლაშუერი (ა. გონსალესი 73), ტაინიო, ფადიგა, მვარუვარი, კაბო

მწვრთნელი: გი რუ

არსენალი: სიმენი, ლორენი, სიგანი, კემბელი, კოული, ტურე (ედუ 60), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი (ლუნი 84), ანრი (პენანტი 58), კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

21 000 მაყურებელი

**ეს რა** მოუშორებელი ჭირი შეგვეჩვიაო, ფიქრობენ ალბათ „არსენალის" მოწინააღმდეგენი. ლონდონელები კვლავ უძლეველნი არიან და არავინ იცის, ეს როდემდე გაგრძელდება. ამას ვინ ჩივის, „მეთოფეებს" გოლიც არ გაუშვიათ ჩემპიონთა ლიგაში...

„ოსერმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწია „არსენალს". პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, თუმც შესვენებამდე არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი კი „არსენალის" უპირატესობით დაიწყო და სამ წუთში ბრაზილიელმა ჟილბერტო სილვამ სილვენ ვილტორდის ჭკვიანური პასი შეირგო. დაწინაურებულ ლონდონელებს მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ და შინ თავაწეულნი დაბრუნდნენ.

— ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, ამიტომაც ჩემი ფეხბურთელების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს — განაცხადა „ოსერის" თავკაცმა გი რუმ — სამწუხაროა, რომ სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ, თუმც მესამე ადგილისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ და იმედია, „ეინდჰოვენს" უკან ჩამოვიტოვებთ.

არსენ ვენგერი, ცხადია, კმაყოფილი დარჩა: „ჯერჯერობით კარგად გამოვიყურებით. თუმც ბიჭებს ცოტა დაღლილობა შევამჩნიე. ტაქტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში კი წუნი არ გვაქვს."

**პსვ ეინდჰოვენი 1:3 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (21), 0:2 როსიცკი (69), 1:2 ვან დერ შააფი (73), 1:3 ამოროზო (90)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოერი, ფაბერი, ბუმა, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, ვან დერ შააფი, კეჟმანი (ჰენეგოორ ოფ ჰესელინკი 76), ლეანდრო (რობენი 55)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

დორტმუნდი: ლემანი, მადუნი, ვოორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი, დედე, რიკენი (რიკენი 90), ფრინგსი, როსიცკი (კელი 79), კოლერი, ევერტონი (ამოროზო 65)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

30 000 მაყურებელი

**უმნიშვნელოვანესი** გამარჯვება იზეიმა ეინდჰოვენში „დორტმუნდმა". საინტერესოა, რომ ეს დორტმუნდელთა პირველი საგარეო მოგება გამოდგა ჩემპიონთა ლიგაში 1997 წლის მერე. მოგეხსენებათ, იმ წელს ოტმარ ჰიცფელდის „ბორუსიამ" ლიგა მოიგო.

— პსვ-სთან მატჩში ისევ გამოჩნდა ჩვენი ხარვეზები, მაგრამ შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ — განაცხადა ნამატჩევს მათიას ზამერმა.

ნავსის გატეხვა მასპინძლებმაც შეძლეს. 73-ე წუთზე ვან დერ შააფის გატანილი გოლი პირველი გამოდგა პსვ-თვის შარშანდელი 16 ოქტომბრის მერე... თუმც არა გვგონია, ჰოლანდიელები ამით კმაყოფილნი იყვნენ. მათი ჯგუფიდან გასვლა ხომ ძალიან სათუოა.

სამაგიეროდ, „დორტმუნდმა" გამოიხედა თვალში. გერმანელებმა კარგად ჩაატარეს მთელი შეხვედრა, მომენტებიც უხვად შექმნეს. სტუმრებმა ლეგიონერთა გოლებით უშანსოდ დატოვეს მასპინძლები. ჯერ ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა დაამწუხრა ვატერეუსი, მერე მისმა თანამემამულე ტომაშ როსიცკიმ გააორა ანგარიში, რასაც ჰოლანდიელებმა ერთით უპასუხეს. წერტილი კი შეხვედრას ბრაზილიელმა მარსიო ამოროზომ დაუსვა. მან ახლახან მოიშუშა ტრავმა და ორ სალიგო მატჩში ორი გოლიც გაიტანა.

ამგვარად, „დორტმუნდმა" უკვე ხუთხუთი ქულით ჩამოიტოვა ფრანგული „ოსერი" და პსვ, რითაც მეორე ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი აქვს. იქნებ მათიას ზამერის გუნდმა მაინც მოწმინდოს ნამუსი ევროპაში შერცხვენილ მიუნხენის „ბაიერნს", რომელიც გერმანული ფეხბურთის სახედ ითვლება.

**ქახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ოსერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. B ჯგუფი

# მე გაგიხსენებთ მესამე გოლზე

## სირცხვილი ვალენსიას, მეტოქეზე ძალა იხმარა

**ლივერპული 5:0 სპარტაკი**

1:0 ჰესკი (7), 2:0 შეირუ (14), 3:0 ჰიიპია (28), 4:0 დიაო (81), 5:0 ჰესკი (88)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო (ტრაორე 68), ჰიიპია, რიისე, მერფი, ჯერარდი (დიაო 75), ჰამანი, შეირუ (დიუფი 82), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი (აბრამიძე 63), კებე, მიტრეხკი, მოიზესი, პავლენკო, ხლესტოვი (ბეზროდნი 26), კუდრიაშოვი (მარსელო 50), კალინიჩენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

მსაჯი: ალან შაპრი (ლუქსემბურგი)

40 812 მაყურებელი

**მოსკოვის** „სპარტაკი" საკუთარ თავს ეჯიბრება ბევრი გოლის გაშვებაში. პირველ მატჩში ორი, მეორეში — სამი, მესამეში ხუთი და ამ პროგრესს ბოლო არ უჩანს. რამდენი გუნდია რვაჯგუფიან ლიგაში, რომლებსაც გოლი არ გაუტანია? სულ სამად სამი: „გენკი", „ნიუკასლი" და „სპარტაკი", მაგრამ „სპარტაკი" მათ შორისაც პირველია, რადგან 10 გაშვებული გოლით ლიდერობს.

საერთოდ, რუსთა „სახალხო გუნდი" ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე ფართოდ გაღებული კარით გამოირჩევა. საბრალოა სტანისლავ ჩერჩესოვი, რომელიც მოსკოვში ტკბილად დასაბერებლად დაბრუნდა, სანაცვლოდ კი შეურაცხმყოფელ წაგებათა სერია მიიღო.

ლივერპულში ჩასულ რუს ჟურნალისტებს „ბიტლზების" მუზეუმის დათვალიერებისას მავანმა ინგლისელმა სადაურობა ჰკითხა. ჟურნალისტებმაც, ცხადია, პასუხს თავი არ აარიდეს. „ბოდიშს მოგიხდით — მიუგო იქაურმა, მაგრამ „ლივერპული" მესამე გოლს რომ გაუტანს „სპარტაკს", თქვენ გამახსენდებით."

მესამე გოლი კი სემი ჰიიპიამ თერთმეტი მეტრიდან ისეთი თავურით შეაგდო, ჩერჩესოვი მხოლოდ ზრდილობის გამო გადახტა.

ჟერარ ულიე: „ჩემს ბიჭებს „ბაზელის" შემდეგ სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ ის ფრე მხოლოდ შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი. დღესაც დაუჯერებელია ჩემთვის, როგორ ვერ მოვიგეთ ის თამაში. სამაგიეროდ, დღეს ჩვენი საღამო იყო. მიუხედავად დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, ვფიქრობ, რომ „ბაზელთან" უკეთესად ვითამაშეთ. ძალიან გამახარა ემილ ჰესკის მონდომებამ. მან ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც გაჩარხა."



ვალენსია — ბაზელი. რუბენ ბარახა სებასტიან ბარბერისს იოლად დაუსხლტა



ლივერპული — სპარტაკი. ემილ ჰესკიმ რუსებს ორჯერ უთავაზა

**ვალენსია 6:2 ბაზელი**

1:0, 2:0 კარეუ (10, 13), 3:0 აურელიო (18), 4:0 ბარახა (28), 4:1 როსი (46), 5:1 აიმარი (58), 6:1 მისტა (60), 6:2 ჰ. იაკინი (90)

ვალენსია: კანიისარესი, კურრო ტორესი, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ანგულო, ალბელდა, ბარახა (მისტა 46), ვისენტე (გარიდო 61), აიმარი (ხუან სანჩესი 70), კარეუ

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, კუენისი (ცრეგიჩი 62), მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი, კანტალუპა, ქამოზიტო (დუროზე 78), ჰ. იაკინი, ხიმენესი (გ. ვარელა 46), როსი

მწვრთნელი: კრისტიან გროსი

მსაჯი: კოსიმო ბოლონინი (იტალია)

20 000 მაყურებელი

**„ვალენსიამ"** „ლივერპულს" უჩვენა, როგორ უნდა მოუგრიხო კისერი „ბაზელის" მსგავს გუნდებს. ეგებ ლივერპულში მიღწეულმა ფრემ შვეიცარიელებს ცუდი სამსახური გაუწია.

ვალენსიელები ყოველგვარი დაზვერვისა და სალამის გარეშე დაერივნენ სტუმრებს. მოედნის მათ ნახევარზე დაიდეს ბინა და მეტოქეს გაჩენის დღე აწყევლინეს.

განსაკუთრებით დამშეული ნორვეგიელი იონ კარეუ იყო. სამწუთიან მონაკვეთში პასკალ ცუბერბიულერს აგრძნობინა, რომ „მესტალიაზე" დასასვენებლად არ ჩადიან.

მეთვრამეტე წუთისთვის კარეუს ფეხის ხმას აურელიო აჰყვა და საბოლოოდ არია „ბაზელის" კარსაცავი სისტემა.

ისე როგორ იქნებოდა, რუბენ ბარახას თავისი სიტყვა არ ეთქვა. აურელიოს შემდეგ ცუბერბიულერის კარმა ათწუთიანი პაუზა აიღო, მერე კი ბარახასგან გოლი მიიღო.

ამასობაში შესვენების და „ბაზელისთვის" სულის მოთქმის დროც მოვიდა.

მეორე ტაიმი არგენტინელი როსის ერთი საპასუხო გოლით დაიწყო, მაგრამ, ალბათ, სჯობდა მას თავი შეეკავებინა, რადგან მასპინძლები კიდევ უფრო აიჯაგრნენ. აიმარმა და მისტამ ერთის საპასუხოდ ორი დასცხეს მომხვდურთა კარში. სულ ბოლოს კი ჰაკან იაკინის ოსტატურ გოლს „მესტალიაზე" არავინ დაუნაღვლებია.

კრისტიან გროსი: „რა გითხრათ, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ვალენსიელებს ექვსზე მეტის გატანაც შეეძლოთ. მეტოქე ძალიან გამოცდილია და ნამდვილად ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ვერაფრით შევაჩერეთ პაბლო აიმარი, რომელმაც დაგვაწიოკა. ეს იყო პირველი მატჩი ლიგაში, სადაც ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილი ძალა გამოიჩინეს. ამ შეჯიბრებაში გაცილებით აგრესიული და ხისტი ფეხბურთის თამაშია საჭირო."

**მამა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. C ჯგუფი

# ბატი აღარ არის გოლი



აეკ — რეალი. ნიკოს კოსტენოღლუს ფერნანდო მორიენტესი მძიმე ტვირთად დააწვა

**აეკ 3:3 რეალი**

1:0 ცარტასი (6), 1:1 ზიდანი (15), 2:1 მალადენისი (24), 3:1 ნიკოლაიდისი (28), 3:2 ზიდანი (40), 3:3 გუტი (60)

აეკ: ხოფტისი, კოსტენოღლუ, რაიტი, კაპსისი, ზაგორაკისი (სენტენო 82), ცარტასი (იგიჩი 83), კასაპისი, კაცურანისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, მ. პეტკოვი (მალადენისი 16)

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი, მაკელელე, კამბიასო, გუტი (მაკმანამანი 85), ზიდანი (პორტილიო 83), ფიგუ, რაული (მორიენტესი 80)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

11 000 მაყურებელი

**ლამის** მსოფლიოს ნაკრებად ქცეული მადრიდული კლუბი ათენში აეკ-მა გვარიანად გააწვალა. ცარტასმა დასაწყისშივე საჯარიმოთი შეაგდო, ამისთვის მას ორი ცდა დასჭირდა: თავდაპირველად ძელს გაარტყა, მაგრამ არბიტრმა ბერძენი საჯარიმოს სანტვენამდე დარტყმისთვის გააფრთხილა და გაამეორებინა. გაბრაზებულმა, ასე არ უნდაო, და იმავე კუთხეში, ამჯერად უფრო მზაკვრულად დაურტყა კასილიასს. ანგარიში გაიხსნა. შემდეგ ზიდანის ჯერიც დადგა, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა.

თამაში გახსნილი და სასეირო სანახავი იყო. ორმხრივი შეტევები, უიერო „რეალის" ოდნავ დაბნეული დაცვა, აეკ-ის სამთავდამსხმელიანი შეტევის ხაზი, ზიდანი და მისი რაზმი მაყურებელს მომენტს მომენტზე ჩუქნიდნენ.

ვისენტე დელ ბოსკემ მატჩის შემდეგ თქვა: „მშვენიერი სპექტაკლი იყო, ბლომად ეფექტური მომენტები შეიქმნა. თამაშის სადავეები კი გვეპყრა, მაგრამ ბერძნები შეტევაში უფრო ზუსტები იყვნენ. მათ სივრცეც მივეცით და სავსებით შესაძლებელი იყო, ეს თამაში 5:7 დამთავრებულიყო."

ულვაშა მწვრთნელისგან განსხვავებით, აეკ-ის თავკაცი დუშან ბაევიჩი ჩაფიქრებული ჩანდა: „დიდი მატჩი იყო, კარგად დავიწყეთ. მაგრამ პეტკოვის ტრავმამ პრობლემები გაგვიჩინა. საერთოდ, მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდით, მზადაც არ აღმოვჩნდით. მატჩი მაშინ მთავრდება, როდესაც მსაჯი ჩასტვენს და არა მაშინ, როდესაც ეს შენ გინდა და გჭირდება."

მწვრთნელები მომავალსაც განსხვავებული თვალით უყურებენ. დელ ბოსკე, ალბათ, თავს იკატუნებს, როცა ამბობს, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად თამაშს უნდა მოვუმატოთო. ბაევიჩი კი მართალი კაცია: „მადრიდელთა შემდეგ ჯგუფიდან გასვლის ფავორიტი „რომაა". ამ თამაშში, წინა შეხვედრების დარად, შანსი გვქონდა. ახლა ჩვენ მხოლოდ სამი ქულა გვაქვს. „რომას" ბელგიაში მოგებამ თითქმის გამოუვალი სირთულეები შეგვიქმნა. იმედი არ დაგვიკარგავს, ოღონდ აეკ-მა ახლა „რომას" რომში უნდა მოუგოს..."

**გენკი 0:1 რომა**

0:1 კასანო (81)

გენკი: მონსი, ტომაშიჩი, ზოკორა, ვამფორი, რუმანი (ინგრაო 85), სკოკო, ტიისი, დაერდენი (სეიფო 67), ბესლია (მოლენი 12), სონკი, დაგანო

მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი

რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კანდელა, ლიმა, ემერსონი, კაფუ (კასანო 46), ტომაზი (ტომიჩი 52), ტოტი, ბატისტუტა (მონტელა 68)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაძევება: მონსი (9)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

**სერია** A-ს ექსჩემპიონმა ევროგრანდთა ტურნირზე პირველი გამარჯვება იზეიმა, მაგრამ ფაბიო კაპელოს გული მაინც ვერ მოიგო: „მხოლოდ შედეგით ვარ კმაყოფილი, სხვაფრივ ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც „რომას" მწვრთნელი გავხდი, გუნდმა მგონი თავისი ყველაზე ცუდი მატჩი ითამაშა. გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ სახიფათო მომენტები თითზე ჩამოსათვლელი გვქონდა."

თითო-ოროლა საგოლე შანსს კი გაბრიელ ბატისტუტა ანიავებდა. ვეტერანმა არგენტინელმა სამიზნე ვერა და ვერ გაისწორა. „ბატიგოლმა" ორჯერ მოახერხა გენკელთა კარისკენ დარტყმა, მაგრამ ორჯერვე ბელგიელთა სათადარიგო მეკარის იოლ საბილოდ აქცია. თავდამსხმელს გაურკვევლობაში კარგად აუბეს მხარი კაფუმ და ვინსენ კანდელამ და რომაელთა ფრთებმაც დაიძინეს.

იტალიელებს მხნელად შეცვლაზე შესული ყმაწვილკაცი, ადრიანო კასანო მოევლინათ. შეხვედრის მიწურულს მისმა თავურმა მასპინძლები სახტად დატოვა. დაძაბული, არეული თამაშის ბოლოს „გენკის" დაცვა აიჭრა. მეცხრე წუთზე საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშის გამო გაძევებული იანს მონსის შემცვლელად გამწესებულმა დეივი შოლენმა გუნდი ვერ იხსნა.

მანამდე გენკელ მეგოლე უესლი სონკსაც ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ ბელგიელმა ბატისტუტას მიბაძა, ასპროცენტიანი გააცუდა და კაპელომაც შვებით ამოისუნთქა.

ნამატჩევს კაპელოს შეგირდთწყრომაზე უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ამით არ დამთავრებულა, მწვრთნელს ცხელ გულზე ისიც უთქვამს, ასეთი თამაშის შემდეგ იტალიელობისაც კი მრცხვენიაო. გუნდის კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი არ ეთანხმება. მისი აზრი ასეთია: „ამ გამარჯვებით კმაყოფილი ვარ, ათბალიან შეფასებასაც კი ვიმსახურებთ. თუმცა იტალიაში ხალხი ყოველთვის უკმაყოფილოა. არადა, ათენში „რეალის" ფრეზე ხმაური არავის აუტეხავს."

**გიორგი მამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 12:3 | 7 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| აეკ | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| გენკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |



გენკი — რომა. ფრანჩესკო ტოტის დარტყმულის მოგერიება იანს მონსს გაძევების ფასად დაუჯდა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. D ჯგუფი

# მახინჯი

**ინტერი 1:2 ლიონი**

0:1 გოვუ (21), 0:2 ანდერსონი (60), 1:2 კანავარო (73)

ინტერი: ტოლდო, მატერაცი, კორდობა, კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, დი ბიაჯო (ს. კონსეისაო 69), კოკო (პასკუალე 86), დალმა (მორფეო 60), რეკობა, კრესპო

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ლიონი: კუპე, დორასო, მიულერი, კასაპა, ედმილსონი, ბრუმე, ვიოლო, მ. დიარა, კარიერი (ფუნინიო 88), ს. ანდერსონი (ლავილი 77), გოვუ (ვერლე 90)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

31 448 მაყურებელი

**თუ ჩემპიონთა ლიგას** ჩემპიონთა თასთან გავაიგივებთ, მილანის „ინტერი" ამ ტურნირში 1963 წლის მერე შინ პირველად დამარცხდა — 33-მატჩიანი წაუგებელი სერია მილანელებს „ლიონმა" შეუწყვიტა.

უპრესტიჟულეს ევროტურნირზე შინ წაუგებელი მატჩების რეკორდი კი მიუნხენის „ბაიერნს" ეკუთვნის — ბავარიელები 1969 წლიდან 1991 წლამდე შინ არავის დაუმარცხებია ჩემპიონთა თასის 43 შეხვედრაში.

წინა ტურში „ინტერნაციონალემ" შინ „აიაქსს" მოუგო არმოსაგები თამაში და თითქოს ფრანგებმა სამართლიანობა აღადგინესო — „სან სიროდ" წოდებულ „ჯუზეპე მეაცაზე" გათელეს შავლურჯები.

„ლიონმა" სავსებით დამსახურებულად მოიგო — პოლ ლე გუენის გუნდმა უაღრესად ორგანიზებული და მომენტებში თვალწარმტაცი ფეხბურთი ითამაშა. სიდნეი გოვუმ კი „ინტერის" ნაქებ დაცვას რამდენიმე ტრიუკი გაუკეთა — ეს ახალგაზრდა შემტევი სიღრმიდან ულერებდა ფეხს მილანელებს.

პირველი გოლი „ლიონმა" კლასიკურად გათამაშებული კონტრშეტევით შეაგდო — სონი ანდერსონმა ერიკ კარიერს უპასა, იმან კი საგოლე გადაცემა გაუხერხა გოვუს.

მეორე ტაიმში ანდერსონმა თავად გაუტანა ფრანჩესკო ტოლდოს ცხრიანში.

ამის მერე ექტორ კუპერმა სამ ფორვარდზე უარი თქვა და ნახევარდაცვა დომენიკო მორფეოს და სერჟიუ კონსეისაუს მოედანზე შესვლით გააძლიერა. შედეგად, „ინტერმა" ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა — ალვარო რეკობას კუთხურს ფაბიო კანავარომ დაჰკრა თავი.

„ეს არ იყო ერთი ნაბიჯი უკან, ჩვენ ორი თუ სამი საფეხურით დაბლა დავეშვით. ეს სირცხვილია. ჩვენ ტაქტიკურად ძალიან ძლიერ გუნდთან ვითამაშეთ. ამ საღამოს ყველაფერი ცუდად გამოგვდიოდა, თითქოს კონცენტრაცია დავკარგეთ. ქომაგს არეულ-დარეული და მახინჯი წარმოდგენა ვაჩვენეთ" — დასძინა მატჩის შემდეგ კუპერმა.

ცხადია, ფრანგთა თავკაცი კმაყოფილი გახლდათ, მაგრამ პრესკონფერენციის ბოლოს ისიც თქვა, იტალიელებს სამი კვირის შემდეგ კვლავ შევხვდებით, „ინტერი" კი ყოველთვის ძალიან სახიფათო გუნდია, რაც უნდა გვახსოვდესო.

**რუსენბორგი 0:0 აიაქსი**

რუსენბორგი: არასონი, საარინენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ოლსენი, სკამელსრუდი, ბერგი, კარადასი, იოჰნსენი (ენერლი 34), ბრატბაკი (ჯორჯი 39)

მწვრთნელი: ნილს-არნე ეგენი

აიაქსი: დიდულიკა, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კრისი ჩიჩე (მაქსველი 77), გალასეკი, ვან დერ მეიდე, ვან ჰოლსტი (ვანტერი 68), ვამბერტო, იბრაჰიმოვიჩი (ვან დერ მეიდე 68), მიდო

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

მსაჯი: მიხაელ ბენეში (ჩეხეთი)

20 948 მაყურებელი

**ამსტერდამის** „აიაქსს" სკანდინავიაში აშკარად არ გაუმართლა. პირველ ტაიმში ჯერ ბრაზილიელ ვამბერტოს უნდა შეეგდო, როცა დრიბლინგით ორი ტრონდჰეიმელი გაიარა და ზედ საჯარიმო ხაზიდან მაინცდამაინც არნი გაუტურ არასონს ხელებში დაუმიზნა ბურთი.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი ახლოდან ვერ გაიტანა — არასონმა იყოჩაღა. უნდა გაეტანა მიდოსაც, მაგრამ „რუსენბორგს" ისევ მეკარემ უშველა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ზლატანმა უფრო შორი მანძილიდან, დაახლოებით 15 მეტრიდან მოინდომა ბურთის შეგდება, მაგრამ ხარიხას გადაავლო.

მატჩის ბოლო საინტერესო ეპიზოდი კი მასპინძლების იყო — კრისტოფ ჯორჯმა მარცხენა, ოდნავ მახვილი კუთხიდან ვერ გაისწორა მიზანი.

და კიდევ, დაგფლინ ენერლი ყილ ვან დამთან ორთაბრძოლისას „აიაქსის" საჯარიმოში განერთხო, მაგრამ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა.

„11-მეტრიანს ჰგავდა, მაგრამ ასეთი რამეები ხდება ხოლმე. შემდეგ ეტაპზე გასვლა ჩვენთვის ძალიან ძნელია, შინ მხოლოდ „ლიონთან" დაგვრჩა სათამაშო. ამიტომაც ვართ იძულებულნი „აიაქსს" და „ინტერს" გასვლაზე მოვუგოთ" — დაიჩივლა ნილს-არნე ეგენმა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:7 | 2 |



ინტერი — ლიონი. სიდნეი გოვუმ ფრანჩესკო ტოლდო ტყუილად გადაახტუნა

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
### I ჯგუფური ეტაპი

CHAMPIONS LEAGUE

### სამი ტურის სტატისტიკა

**მეგოლეები**

| | |
|---|---|
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 7 |
| როი მაკაი (დეპორტივო) | 4 |
| იაკუბუ აიეგბენი (მაკაბი) | 3 |
| ერნან კრესპო (ინტერი) | 3 |
| ხოსე მარია გუტი (რეალი) | 3 |
| ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) | 3 |

**საგოლე პასი**

| | |
|---|---|
| მანუელ რუი კოშტა (მილანი) | 3 |
| პაბლო აიმარი (ვალენსია) | 2 |
| ერიკ კარიერი (ლიონი) | 2 |
| რაული (რეალი) | 2 |
| ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო) | 2 |
| პოლ სქოულზი (მანჩესტერი) | 2 |

**კარში დარტყმა**

| | |
|---|---|
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 9 |
| როი მაკაი (დეპორტივო) | 9 |
| პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა) | 8 |
| ხუან ვერონი (მანჩესტერი) | 7 |
| აზარ კარადასი (რუსენბორგი) | 6 |
| სონი ანდერსონი (ლიონი) | 6 |
| რაიან გიგზი (მანჩესტერი) | 6 |

**კარისკენ დარტყმა**

| | |
|---|---|
| ანდრეს მენდოსა (ბრიუგე) | 8 |
| მიხაელ ბალაკი (ბაიერნი) | 7 |
| ფლორინ ჩერნატი (დინამო) | 7 |
| რივალდო (მილანი) | 7 |
| კრეიგ ბელამი (ნიუკასლი) | 6 |
| ოლივიე კაპო (ოსერი) | 6 |

**თამაშგარე**

| | |
|---|---|
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 10 |
| ტიერი ანრი (არსენალი) | 9 |
| იონ კარეუ (ვალენსია) | 7 |
| დანიელ მორეირა (ლანსი) | 7 |
| მატეა კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი) | 6 |
| კრისტიან ვიერი (ინტერი) | 6 |
| არიფ ერდემი (გალათასარაი) | 6 |

**ყვითელი ბარათი**

| | |
|---|---|
| ჰანო ბალიტჩი (ლევერკუზენი) | 2 |
| ფაბიო კანავარო (ინტერი) | 2 |
| ეჭიოფორი (მაკაბი) | 2 |
| რიო ფერდინანდი (მანჩესტერი) | 2 |
| ჩირო ფერარა (იუვენტუსი) | 2 |
| დიტმარ ჰამანი (ლივერპული) | 2 |
| ნიკოს კოსტენოღლუ (აეკ) | 2 |
| დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 2 |

**წითელი ბარათი**

| | |
|---|---|
| ფაბიო კანავარო (ინტერი) | 1 |
| დიტმარ ჰამანი (ლივერპული) | 1 |
| დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 1 |
| იაკუბუ (აიაქსი) | 1 |
| ზე ელიასი (ოლიმპიაკოსი) | 1 |
| იანს მონსი (გენკი) | 1 |

**ვინ დაჯარიმდა**

| | |
|---|---|
| მაურო სილვა (დეპორტივო) | 12 |
| ფილიპ კოკუ (ბარსელონა) | 11 |
| ფერდინანდ კოლო (ლანსი) | 10 |
| იური დროზდოვი (ლოკომოტივი) | 10 |
| გერტ ვერჰეინი (ბრიუგე) | 10 |

**ვისზე დაჯარიმდნენ**

| | |
|---|---|
| მიხაელ ბალაკი (ბაიერნი) | 14 |
| ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი) | 14 |
| ჟორჟე ფელიპე (გალათასარაი) | 13 |
| ხავიერ სავიოლა (ბარსელონა) | 12 |
| დანიელ მორეირა (ლანსი) | 10 |
| დემის ნიკოლაიდისი (აეკ) | 10 |


მაურო სილვა (მარცხნივ) უხეშობის დიდოსტატია

# ბაიერნი სკამზე ვერ ჯდება
## ფილიპო ინძაგიმ ჭიკარტი დაუდო


ოტმარ ჰიცფელდმა ხელები თავში წაიშინა, მისმა თანაშემწე მიხაელ ჰენკემ გაშალა: ინძაგიმ „ბაიერნს“ გაუტანა

**გულზვიადი** „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდან დაფრენის პირასაა — „მილანთან“ შინ 1:2 წაგების შემდეგ გერმანული სუპერკლუბი ბორგავს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.

მახვილი ფრაზები კი ბავარიელთაგან ყველაზე უფრო კლუბის გენერალურ მენეჯერს ული ჰიონესს რომ ეხერხება, ქვეყანამ იცის. ჰიონესმა არც ამჯერად დაამალლა თავისი მჭევრი ენა გერმანულ საზოგადოებას:

„მილანთან“ მატჩის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ ბიზნესში სკამზე ზურგის მიყრდნობა და განტვირთვა არასდროს შეგიძლია. გუნდი რეალობაში უნდა ერკვეოდეს — უფრო მეტი სირბილი, სირბილი და სირბილი. ეს განსაკუთრებით სეზონის სტარტზეა მნიშვნელოვანი, როცა მეტოქეებს ცხოველებივით ჭარბი ენერგია აქვთ და იძულებული ხარ, მოქანცო. თუ არადა, მხოლოდ უკეთესი ფეხბურთის თამაშით შანსი არ გექნება. მეტი ისეთი მატჩი აღარ იქნება, ჩვენ თავს რომ ვუთხრათ, შემთხვევითი მარცხი არცთუ ისე ცუდიაო.“

იტალიელებთან წაგების მეორე დღეს მასმედიას მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც გადაუშალეს გული.

ოტმარ ჰიცფელდი: „მეორე ეტაპზე გასვლის საფუძვლიანი იმედი გვაქვს, მაგრამ თამაში უნდა გავაუმჯობესოთ. ტაქტიკურად ჭკვიანები ვართ. „მილანთან“ მატჩის უმეტეს ეპიზოდებში საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით. ერთი სიტყვით, დაკარგულის ამოქაჩვა შეგვიძლია.“

მიხაელ ბალაკი: „ჩვენ ყველას გვჯერა, რომ მილანში მოვიგებთ, მაგრამ თუ ეს ვერ შევძელით, უეფას თასზე ხომ მაინც გადავერთვებით. დარჩენილი სამი შეხვედრიდან ჩვენ ერთს მაინც მოვიგებთ.“

ჯოვანი ელბერი: „მე უბრალოდ მჯერა, რომ ღმერთი ბავარიელია. ყისმათიანი ვიქნებით და საბოლოოდ გამარჯვებულები დავრჩებით. იმედია, ეს მომდევნო მატჩში, მილანში მოხდება და ალბათ სამყაროც განსხვავებულად დაგვენახვება.“

იენს იერემისი: „ჩემპიონთა ლიგაში თითოეული შეცდომა გსჯის. თუ ორ გოლს გაუშვებ, წააგებ.“

კარლ-ჰაინც რუმენიგე, ვიცე-პრეზიდენტი: „მილანში შარშან ჩემპიონთა თასი მოვიგეთ. ჰიცფელდმა თქვა, კარგია, რომ ისევ იმ მოედანზე გვიწევს თამაშიო. მაგრამ გამარჯვებისთვის მძიმე შრომა გვმართებს. დაცვაში უფრო ფრთხილნი უნდა ვიყოთ, შეტევაში კი უფრო მიზანდასახულნი. როცა „მილანს“ საპასუხო გოლი გავუტანეთ, დაცვაში ჩაჯდომის დრო არ იყო, უფრო მაგრად უნდა მივწოლოდით მეტოქეს.“

რაზან „მილანი“ — „ბაიერნის“ დამდეგ მატჩზე გერმანელთა ბანაკიდან გაკეთებული კომენტარები გაგაცანით, ფილიპო ინძაგიზე არაფერი ვთქვათ, არ იქნება. იტალიურმა გაზეთებმა დითირამბები უძღვნეს ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლეს.

„გაძეტა დელო სპორტი“: ჯადოქრობა! ინძაგი მიუნხენის პრინცია.

„კორიერე დელო სპორტი“: ინძაგი შეუჩერებელია. პიპოს ჭიკარტებმა „მილანი“ გამარჯვების დაფაზე გააკრა.

„ტუტოსპორტი“: ინძაგი ანუ მისტერ ევროპა. მან „ბაიერნი“ ჩაძირა.

„ლა რეპუბლიკა“: ეს საღამო ინძაგის და დელ პიეროს შოუ იყო. სუპერ-პიპოს მორიგი დუბლით „მილანმა“ დიდ წარმატებას მიაღწია.

„ილ ჯორნალე“: ინძაგი ისეთ გზას ადგას, მას ევროპის მეფედ აკურთხებენ.

**დავით თავართქილაძე**

# მანქანა ადამიანის მეგობარი არ არის

**უარი** ახალ ტექნოლოგიებს — ასეთია ფიფას ვერდიქტი ვიდეოჩანაწერების გამეორებების თაობაზე. ნუ შეგეშინდებათ, ტელემაყურებელს არაფერი ემუქრება, მსაჯს კი, საკამათო ეპიზოდებისას, როგორც არ ჰქონდა ვიდეოს ნახვის საშუალება, ისევე არ ექნება.

ვიდეოგამეორება, რაც რა ხანია გამოიყენება ამერიკულ ფეხბურთში, რაგბსა და ამ სეზონიდან NBA-შიც, ფეხბურთს არ შეეხება.

„სანამ ფიფას პრეზიდენტი ვარ, მსაჯის დამხმარედ ტექნიკის გამოყენებას არ დავუშვებ. ჩვენ მხოლოდ ადამიანს უნდა დავეყრდნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი შეცდომებისგან დაზღვეული არ არის“ — განაცხადა ზეპ ბლატერმა.


ზეპ ბლატერი

არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით მსაჯის მიერ გადაწყვეტილების გამოტანაზე საუბარი სერიოზულად დაიწყო. ტექნიკის მომხრეთა არგუმენტი ასეთია: თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკისა და ტელეტექნიკის განვითარების ფონზე მსაჯის შეცდომა გაცილებით ადვილი ამოსაჩენია, ვიდრე თუნდაც 10-15 წლის წინ.

სხვათა შორის, სადავო მომენტების ვიდეოგარჩევის მომხრე ინგლისელთა მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიცაა. „დროა საშველად ტექნოლოგიას მივმართოთ. თუ მსაჯს დახმარება სჭირდება, მან საკამათო ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი უნდა ნახოს. ეს განსაკუთრებით საჯარიმოში შექმნილ მომენტებს ეხება. რასაკვირველია, არ შეიძლება, მსაჯი 100 პროცენტით დარწმუნებული იყოს, ვთქვათ, დანიშნოს პენალტი, თუ არა. როდესაც არ არის დარწმუნებული, მაშინ საუკეთესო გამოსავალი ამ მომენტის ვიდეოზე რამდენიმე რაკურსით ნახვაა“ — განაცხადა ერიკსონმა.

ფიფას ხელმძღვანელობასთან ერთად ტექნოლოგიების თამაშში დანერგვის მოწინააღმდეგენი თავად წამყვანი მსაჯებიც არიან. მათ აზრს მიშელ პლატინიც იზიარებს. „ვიდეოჩანაწერის გამოყენება გამოსავალი სულაც არ არის. წარმოიდგინეთ, ყოველ ჯარიმაზე თამაში შეჩერდეს და მსაჯმა მონიტორთან მიირბინოს. ეს ხომ წარმოუდგენელია“ — განაცხადა ფრანგმა.

ფიფაში უპრიანად თავად პლატინის იდეას მიიჩნევენ — კიდევ ერთი, დამატებითი მსაჯი კარს უკან დავაყენოთო.

**სერგი ძორიძე**

### გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 004 | ბაიერნი-ბოხუმი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 18.30 | 005 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.30 | 007 | შალკე-ჰამბურგი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ჰანზა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.30 | 010 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 011 | ბურგჰაუზენი-ბრაუნშვაიგი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 22.00 | 012 | ფრაიბურგი-ვალდჰოფი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 013 | ფრაიბურგი-ვალდჰოფი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 014 | სტ.პაული-ობერჰაუზენი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 015 | ფიურტი-მაინცი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ტრიერი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 017 | ალემანია-აინტრახტი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 18.00 | 018 | დუისბურგი-ალენი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 019 | კარლსრუე-ლიუბეკი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.15 | 020 | კიოლნი-უნიონი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.00 | 023 | ბაბელსბერგი-პადერბორნი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 024 | კიოლნი(მ)-ვერდერი(მ) | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| 17.00 | 025 | ჰამბურგი(მ)-კილი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 17.00 | 027 | ვერლი-დრეზდენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 028 | ქემნიცი-ოსნაბრიუკი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 029 | ვატენშაიდი-აუე | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 030 | ესენი-დორტმუნდი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 21.00 | 026 | მიუნსტერი-ლევერკუზენი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 033 | აინტრახტი(მ)-ზიგენი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 034 | რეგენსბურგი-ერფურტი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.30 | 035 | ვეენი-ოფენბახი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 17.30 | 036 | ჰოფენჰაიმი-შვაინფურტი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 037 | ლაუტერნი(მ)-ნოინკირხენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 038 | ელვერსბერგი-საარბრიუკენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.30 | 039 | კიკერსი-აუგსბურგი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.00 | 040 | უნტერჰახინგი-ფულენდორფი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 041 | უნტერჰახინგი-ფულენდორფი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

### ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 042 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 043 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 044 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 045 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 046 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 18.00 | 047 | არსენალი-სანდერლენდი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 048 | არსენალი-სანდერლენდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 049 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 050 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 20.05 | 051 | ლივერპული-ჩელსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 24.00 | 052 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 053 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

### ინგლისი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 054 | ბრედფორდი-პრესტონი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 055 | დერბი-უოლსოლი | 1,5 | 3,2 | 5,6 | 1,02 | 1,18 | 2,03 |
| 19.00 | 056 | ჯილინგემი-ქოვენტრი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 057 | გრიმსბი-რედინგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 058 | მილუოლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 059 | როტერჰემი-პორტსმუთი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 060 | უენსდი-ბარნლი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 061 | სტოკი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 062 | უოტფორდი-ბრაიტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 063 | ვულვერჰემპტონი-შეფილდი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 21.35 | 064 | ნორვიჩი-ლესტერი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 065 | უიმბლდონი-იფსვიჩი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
პორტუგალიაში მანუელს საერთოდ არავინ მეძახის. იქ რუი კოშტა ვარ. იტალიაში თავიდან განცვიფრებულიც კი ვიყავი, როცა „ფიორენტინას" ფანები ჩემს გამამხნევებელ შეძახილებში და სიმღერებში მანუელ რუი კოშტათი მომიხსენიებდნენ. თავიდან ვერც ვხვდებოდი, მე რომ მახსენებდნენ. მერე ერთმა ქომაგმა ბიჭუნამ მკითხა — სტადიონზე შენზე ვმღერით და რეაქცია საერთოდ არ გაქვსო — ხომ გეუბნებით, ვერ ვხვდებოდი, მანუელს მე რომ მეძახდნენ. ქუჩაშიც მოუმართავთ მანუელით და მე თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა, რა თქმა უნდა, შევეჩვიე ჩემსავე სახელს.

### გულშემატკივრები

ჩემი ფანებისგან ხშირად ვიღებ წერილებს და ინტერნეტ-შეტყობინებებს, რაც გამოგიტყდებით ყოველთვის მსიამოვნებს. მათთან ურთიერთობა ჩემთვის სტიმულია, რათა უკეთესად ვითამაშო — აბა, რას იტყვიან ჩემზე, როგორ შემაფასებენ.

### ზღვა და სამშობლო

სამშობლოში ყველაზე მეტად ზღვა მენატრება ხოლმე. როცა სახლში ვარ, სადაც დავიბადე, ყველა კუთხიდან ზღვა ჩანს და მისი ყურება ძალიან მსიამოვნებს. ფლორენციაში ზღვას მოკლებული ვიყავი და ახლა მილანშიც არ მაქვს ზღვის ცქერის საშუალება.

წარმოდგენილი მაქვს, რომ სამოთხეში ზღვაა, როცა რამე სასიამოვნოზე ვფიქრობ, ყოველთვის ზღვის სილურჯე მახსენდება. ლისაბონში დღეში რამდენიმე საათს ვატარებდი სანაპიროზე, მარტოც რომ ვიყავი, დავხეტიალობდი და ტალღებს ვაკვირდებოდი — ეს დამშვიდების საუკეთესო საშუალებაა.

პორტუგალიაზე კიდევ ის მახსენდება, რომ იქ ზოგიერთს ფიგუში ან პაულო სოუზაში ვერევი. საოცრად მეჩვენება, მგონი, ერთმანეთს ძალიან არ ვგავართ.

### საქმე და დასვენება

ხალხი ამბობს, რომ ფეხბურთელები მეფეებივით ვცხოვრობთ. მე კი ვიტყვი, რომ თავს კარგად ვგრძნობ იმიტომ, რომ ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ბავშვობიდან მიყვარს. ვთამაშობ ფეხბურთს და მყავს საამაყო ოჯახი, თუმცა ჩემთვის მეორე უფრო მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დასვენებას, როცა პორტუგალიაში ვარ, ხშირად დავდივარ თეატრში. იტალიაში კი სალამოობით წიგნს ვკითხულობ და მუსიკას ვუსმენ. მიყვარს ტელევიზორის ყურებაც, განსაკუთრებით სატელიტური არხების, სადაც პორტუგალიაზე ვიგებ ახალ ამბებს.

### ფიქრები მომავალზე

ფეხბურთელს ძალიან ხანმოკლე, თუმცა უაღრესად გადატვირთული კარიერა აქვს. როცა თამაშს მოვრჩები, ჩემი სამომავლო გეგმები ოჯახს უკავშირდება. აქედანვე ვიცი, რომ ბევრი უნდა ვიმოგზაურო. როგორც ფეხბურთელს, ცხადია, მთელი ევროპა მოვლილი მაქვს, თუმცა ასეთი ვიზიტი ტურისტულისგან ბევრით განსხვავდება — თითქმის არასოდეს მომცემია საშუალება, სათამაშოდ ჩასულ ქალაქს გავცნობოდი. ნებისმიერ ქვეყანაში ერთნაირი მარშრუტი მაქვს: აეროპორტიდან სასტუმრომდე, მერე სტადიონამდე და უკან.

ვერც დავითვლი, რამდენჯერ ვყოფილვარ პარიზში ან ლონდონში, ეს ორი ულამაზესი ქალაქია მსოფლიოში. როცა კარიერას დავასრულებ, ამ ორ ქალაქში აუცილებლად ვიმოგზაურებ ოჯახთან ერთად.

### რჩევა რუი კოშტასგან

ვიცი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ან თუნდაც ნებისმიერი ვარსკვლავის ნათქვამ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. ისინი ცდილობენ მათ მიბაძონ. მეც ასე ვიყავი. ახლა ვგრძნობ, რომ დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია, რადგან ჩემი ყოველი საქციელი ვიღაცისთვის შეიძლება მაგალითი იყოს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ პოპულარობა ადვილი არ არის. საუკეთესო რჩევა, რაც შემიძლია მივცე ბავშვებს — არ დაუშვან იგივე შეცდომა, რაც მე დავუშვი. არ მიატოვონ სწავლა მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთით არიან გატაცებული. მათ შეუძლიათ ორივე საქმეს წარმატებით გაართვან თავი. იმაზე კარგი არაფერია, როცა ნასწავლიც ხარ და შენს საყვარელ საქმესაც აკეთებ. მაგალითად გეტყვით: ვთქვათ, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ ტრავმამ სპორტს ნაადრევად ჩამოგაშორა, რალა შეგრჩება? არც კარიერა, არც განათლება...

ძლიერი მაშინ ხარ, როცა ფეხბურთსაც თამაშობ და ოთახის კედლები ათასგვარი სერთიფიკატებით და დიპლომებით გაქვს სავსე.

საერთოდ კი, ძლიერი ფეხბურთელი მაშინ ხარ, როცა სამ ბარიერს გადალახავ — ტრავმებს, ჩავარდნას და მწვრთნელთან ქიშპს.

# კეთილი და უკუღმა გულები



კირსტი პოუვარდი და დევიდ ბექემი ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების გახსნაზე

დევიდ ბექემი უკვე ესაუბრა სვენ გორან ერიკსონს და მისგან, ცხადია, დასტური მიიღო. ახლა მხოლოდ მატჩის თარიღია დასადგენი, მეტოქეთა ვინაობა კი ცნობილია — „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ.

შეხვედრას „დევიდ ბექემის ტესტიმონიალი" დაერქმევა და მისი მთლიანი შემოსავალი ავადმყოფი ბავშვების ფონდში გადაირიცხება. სავარაუდოდ, ეს თანხა 2 მილიონ გირვანქაზე ნაკლები არ იქნება.

ტრადიციულად, ამა თუ იმ ფეხბურთელს ტესტიმონიალს (ჩვენებურად ბენეფისს) კლუბი უწყობს ხოლმე კარიერის მიწურულს და მატჩის მთელ შემოსავალსაც თავად მოთამაშეს გადასცემს — პენსიონერობისას გამოგადგებაო. დაგვეთანხმებით, გადასარევი ტრადიციაა, თუმცა ამ ბოლო დროს ისედაც მილიონერმა ფეხბურთელებმა ამ საქმეს მთლად კეთილშობილური იერი მისცეს. მაგალითად, წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ირლანდიელმა ნაილ ქუინმა მილიონი გირვანქა ოჯახის ნაცვლად კიბოთი დაავადებულებს გადაულოცა.

და ახლა ბექემი — ვინაც კარიერის დასრულებას, ცხადია, ჯერ არ აპირებს, თუმც მისი „ბენეფისი" სულ მალე შედგება. „მანჩესტერისა" და ეროვნული გუნდის კაპიტანი აგერ უკვე ერთი წელია, ნორჩ კირსტი პოუვარდს მფარველობს და ტესტიმონიალის იდეაც სწორედ ამ გოგონას გასაჭირმა უკარნახა — 7 წლის კირსტი შებრუნებული (!) გულითაა დაბადებული და მართალია, ორი წლის წინ ექიმებმა მისი სიცოცხლის შენარჩუნება თითქმის უიმედო საქმედ მონათლეს (6 კვირაღა დარჩაო, ამბობდნენ), ბექემისნაირთა წყალობით გოგონა დღესაც ცოცხალია. ეგ კი არა, ბექემი შარშან საბერძნეთთან შესარჩევი მატჩის წინ სწორე კირსტისთან ერთად გავიდა მოედანზე, წლეულს ივლისში კი ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებიც ამ ორმა გახსნა.

როგორც ვარაუდობენ, ამ საქველმოქმედო აქციის შემდეგ გასაკვირი არ იქნება, თუ ინგლისის ისედაც ყველაზე პოპულარულ თანამედროვე ადამიანს დედოფალი რაინდობას უბოძებს.

არ ეკუთვნის, რო?

**ზიზა ძოზახიძე**



ფრანკო კარარო

# სერიამ თხა იყიდა

მოგეხსენებათ, იტალიის ჩემპიონატი ერთ ხანს ჩაშლის პირას იყო, მერე დაწყება გადაიდო და როგორც იქნა, გაჩაღდა. წინა სეზონებისგან განსხვავებით, ერთ სიახლესაც შენიშნავდით — სერია B-ს მატჩები აღრინდელი კვირა დღის ნაცვლად შაბათობით იმართება. და რა? ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო ისევ ძველ წესზე დაბრუნებას მოითხოვს.

ჯერ გადატანის მიზეზი გავიხსენოთ: კვირაობით სერია A-ს მატჩები ტარდება, ხალხის ყურადღებაც იქითკენაა მიპყრობილი და სერია B ობოლი ბავშვივით რჩებაო. ეს მტკიცებულება ლოგიკას მოკლებული სულაც არ იყო და მეორე ლიგელთა მატჩები შაბათს სალამოს გადაიტანეს.

მაგრამ დახეთ, რა ხდება: მოგეხსენებათ, შაბათ საღამოს სერია A-ს ერთიორი, მაგრამ გამორჩეული თამაში იმართება და სერია B-ს მაყურებელი, შესაბამისად, ვერ ემატება. თხა გავყიდე, თხა ვიყიდეო, ისე გამოვიდა. ფრანკო კარაროს გულისტკივილიც ესაა.

კარარო ავტორიტეტული პიროვნება კი გახლავთ, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტაში უძლურია, რადგან იტალიურ სერიებს საფეხბურთო ლიგა მეთვალყურეობს. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი კი, შეგახსენებთ, მილანელი ადრიანო გალიანია.

„სერია A-ს შაბათს გამორჩეული თამაშიც რომ არა, ამ დროს ახალგაზრდობა სასეირნოდ დაიარება და ტელევიზორთან ვერ დასვამ. ჰოდა, თამაშების ისევ კვირას შუადღისას გამართვა სჯობს" — დასძინა კარარომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკიტა და ნენე: მაღალი აზრი მაღალ ბიჭებზე

*ეს დღეებია, ამერიკას ნბა-ს სეზონისთვის სამზადისი ახმაურებს. ჩემპიონატის დაწყებამდე, ანუ 29 ოქტომბრამდე კლუბები ჯერ გენერალურ სავარჯიშო ბანაკებს გამართავენ, შემდეგ კი ერთმანეთში საკონტროლოდ ითამაშებენ. გულშემატკივარი გარკვეული ინტერესით ელის ამ მატჩებს, ქომაგებმა ხომ წარმოდგენა უნდა შეიქმნან თავთავიანთ გუნდებზე. ეს მატჩები ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს, თუმც სანამ ეს მოხდება, თითქმის ყველა კლუბის მწვრთნელს საინტერნეტო მიმოწერა აქვს ფანებთან და ჩვენც, რა გასაკვირია, „დენვერ ნაგიტსს" გამოვარჩევთ, რომლის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც სხვა ავანჩავანთან ერთად ჯეფ ბზდელიკს ნიკა ცქიტიშვილზეც ეკითხებიან*



სეზონის დაწყებამდე ჯეფ ბზდელიკი მზად გამოიყურება

— **თქვენ არაერთი სეზონი გიმუშავიათ პატ რაილისთან, ახლა კი კონსულტანტად „დენვერის" წარსულში ცნობილი მწვრთნელი დუგ მო გყავთ. ეს ორი სპეციალისტი საკმაოდ განსხვავებულ სათამაშო სისტემებს ერთგულობს. თქვენ რომელს აირჩევთ, „დენვერისთვის" რომელი იქნება უფრო მისაღები?**

— მართლაც, ამ ორი მწვრთნელის ტაქტიკური შეხედულებები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. თქვენ ალბათ ვერც ერთს იხილავთ „დენვერის" თამაშში და ვერც მეორეს. ვაპირებ ამ ორი მაღალი დონის სპეციალისტის სათამაშო სქემების შეჯერებას. მოსგან უფრო შეტევა და კომბინაციურ სტილს ავირჩევ, რაილისგან კი, რაღა თქმა უნდა, დაცვითს.

— **სასტარტო ხუთეული უკვე შეარჩიეთ?**

— არა, არ ვჩქარობ. არაერთი ახალგაზრდა გვყავს, რომელთათვისაც ჯერ საბოლოოდ არ მაქვს ამპლუა შერჩეული. საკონტროლო მატჩებში ბევრი რამე გამოჩნდება და ხუთეულიც ამის მიხედვით ჩამოყალიბდება.

— **რამდენად მნიშვნელოვანნი არიან „დენვერისთვის" ნიკა ცქიტიშვილი და ნენე ილარიო, ხშირად თუ ათამაშებთ მათ?**

— „დენვერისთვის" ყველა ახალგაზრდა მნიშვნელოვანია. მათ შორის, გეთანხმებით, „სკიტა" და ნენე არიან გამოსარჩევი. ჩვენ მაღალი აზრისა ვართ



ნენე ილარიო და ნიკა ცქიტიშვილი

მათზე. ყველაზე მთავარი, რაც ახლა მათ სჭირდებათ, გამოცდილებაა. ორივე დიდი მონდომებით ვარჯიშობს, მათ მხოლოდ ერთი ინტერესი ამოძრავებთ, ძლიერ კალათბურთელებად ჩამოყალიბდნენ. შედეგიც შესატყვისია და ცქიტიშვილისა და ილარიოს სახით „დენვერი" ძლიერ შევსებას მიიღებს.

— **რითი მოგხიბლათ პრედრაგ სავოვიჩმა?**

— „სავოს" თამაში მართლაც მომხიბვლელია, იგი დაუღალავი და დიდებული მსროლელია. სავოვიჩი ნბა-ში ახალბედაა, თუმც უკვე 26 წლისაა. მას ვეტერანის სიდინჯე გააჩნია და კარგადაცაა დახელოვნებული.

— **როგორც ჩანს, „დენვერის" წამყვანი ძალა მსუბუქი და მძიმე ფორვარდები იქნებიან. იქნებ თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ?**

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვისგან შევარჩევ სასტარტო ხუთეულს. რომელი რგოლიც უკეთ შეასრულებს დავალებას, წამყვანიც ის იქნება.

— **რაზე აპირებთ აქცენტის გაკეთებას, მეტოქეებს რის ხარჯზე უპირებთ ძლევას?**

— ყურადღება უფრო დაცვაზე გვაქვს გადატანილი, ვცდილობთ, ეს სათამაშო მხარე სრულვყოთ. თუმც, როგორც ადრეც მითქვამს, ეს არ იქნება ყრუ დაცვა, მთავარი დაცვიდან შეტევაზე გადაწყობაა და თუ ამას კარგად მოვახერხებთ, პრობლემები ნაკლებად შეგვექმნება.

# მაკგრეიდის გრანტი ჰილია

## ცოტა უზრდელური და ზევრით თავდაჯერებული ინტერვიუ რადაცის მაძიებელ ყოჩაღ ზანგთან



*ყოჩაღი ბიჭია ტრეისი მაკგრეიდი. სუპერთანაგუნდელი გრანტ ჰილი ეს ორი წელია, კოჭის ტრავმას გადაჰყვა და „ორლანდო მეჯიქს" სწორედ მაკგრეიდი მიათრევს. 23 წლის გამოუცდელი ბიჭი როგორღაც ახერხებს თავისი გუნდის საშუალოებში დატოვებას და ამისთვის ჟურნალისტებისა და მწვრთნელებისგან ქება არ აკლია, მაგრამ არავინ ადიდებს ტრეისი მაკგრეიდის ისე, როგორც ის თავად საკუთარ თავს.*

*„მე ყველაზე უნივერსალური ვარ", ანდა „გაისად უძვირფასესი გავხდები" — ამგვარი თვითკმაყოფილი და თავდაჯერებული ფრაზები ხშირად ისმის მისგან და სწორედ ამ ჯეელზე ითქმის, ვარსკვლავობის სენი შეჰყრიაო. ამას წინათ „თი-მაკმა" ჟურნალ „სლემს" მისცა ინტერვიუ, რომელშიც ტრადიციულად იგრძნობა თვითკმაყოფილებისა და უკმაყოფილების ინტონაციები*

— **ორლანდოს ახლოს დაიბადეთ და კანადაში, ტორონტოში სამწლიანი ცხოვრების შემდეგ ამ ორი წლის წინ სახლში დაბრუნდით. თავს შინ გრძნობთ?**

— ყველაფერი ძალიან მაგრადაა. აი, ბოლო სეზონში გრანტი არ იყო და მე ბედნიერება მხვდა წილად, ჩემი გუნდი პლეი ოფში გამეყვანა. იცი, პლეი ოფი გამოცდილებას გძენს, იქ ყველაფერი უფრო ძნელია, ხანდახან ადვილიცაა. თავს ურიგოდ არა ვგრძნობ, აქაა კარგ მწვრთნელთა ჯგუფი, თანაგუნდელები სულ გადასარევი ბიჭები, ქალაქი მშვენიერია, ქომაგებიც სულ ჯიგარი ხალხია... რა გითხრა, თავს სახლში ვგრძნობ, მაგრამ არის ერთი დიდი „მაგრამ", ვერა და ვერ გავაღწიეთ ამ დედანატირები პირველი წრიდან. დავიღალე რა, ზედიზედ მესამე წელია, გავდივარ პლეი ოფში და სულ პირველ რაუნდში ვამთავრებ. აი, ეს კი ნაღდად არაა კარგი გრძნობა.

— **ორი წლის წინ თქვენ და გრანტ ჰილი „ორლანდოში" ერთდროულად მოხვედით და დიდი გეგმებიც გქონდათ, მაგრამ ჰილი სულ ტრავმიანობს და ერთად თითქმის არ გითამაშიათ. ამბობენ, ახლა ჯანზეაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად შორს შეგიძლიათ წასვლა თქვენ და მას ერთად?**

— რა გითხრა, ძალიან ცოტა, ორ წელიწადში სულ 20 თუ რაღაც ამდენი თამაში ვიყავით ერთად და გამოჩნდა, რომ ჩვენ შეიძლება ძლიერი დუეტი შევქმნათ. მაგრამ ხომ იცი, სანამ ერთ სრულ სეზონს არ ჩავათამაშებთ, ვერ იტყვი, რამდენად ძლიერები შეიძლება ვიყოთ და რამდენად შორს წავიყვანთ ჩვენს გუნდს. საბედნიეროდ, გრანტმა მოირჩინა კოჭი და მგონი, მზად ვართ, ახლა მაინც დავიწყოთ. ვუყურებ, როგორ შრომობს, მასაც ძალიან უნდა თამაში, მაგრამ გაუჭირვა კოჭმა საქმე. ვხვდები, მისი ამდენი ხნის უთამაშებლობა ძალიან აღიზიანებთ ფანებს. მათ სურთ, გრანტ ჰილი მოედანზე ნახონ და არა სპრაიტის რეკლამებში, მაგრამ მასაც ხომ უნდა გავუგოთ. ის თავადაა გაღიზიანებული და გაწბილებული ამდენი ხნის უთამაშებლობით. ორი წელი უცდება მაშინ, როცა საუკეთესო ფორმაშია, თან ისეთ ასაკშია, ახლა უნდა ბდღვნიდეს ყველაფერს. მგონი, უკვე ყველაფერი კარგადაა და ახლა მთავარია, სეზონის ბოლოსთვის იყოს ჯანმრთელად.

— **დავუბრუნდეთ წინა სეზონის პლეი ოფს. თქვენ საშუალო გუნდი გყავთ, ძირითადად ასეთებისგან შედგება აღმოსავლეთ კონფერენცია. განა არ შეიძლებოდა, პლეი ოფში ცოტა შორს წასულიყავით? მეტ-ნაკლებად თქვენი დონის „ბოსტონი" აღმოსავლეთის ფინალში გავიდა. ამ კონფერენციაში ყველა გუნდს ხომ არა ჰყავს თქვენნაირი მოთამაშე?**

— გაგიჟდები კაცი. შეხედეთ „ნიუ ჯერსის", ჩვენზე ოდნავ თუა უკეთესი და ფინალში კი გავიდა. ამისთვის სულ რვა თამაშით მეტი მოიგო, ვიდრე ჩვენ. ძალიან ცოტაა სხვაობა, არა? ყოველთვის ასე ცოტა გვაკლდება ეტაპის გასავლელად. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის, რაც გვაკლია, მე უნდა ვიპოვო ეს გზა. ჯერ არ ვიცი ზუსტად, რა არის ეს, მაგრამ ამ სეზონში აუცილებლად ვიპოვი.

— **როგორ შეატყვეთ, რატომ წააგეთ პლეი ოფში „შარლოტთან"?**

— მართალი რომ გითხრა, „შარლოტი" ჩვენზე ოდნავ უკეთესი გუნდი იყო, ამის მიუხედავად, ვგრძნობდი, შეგვეძლო მისი დამარცხება. რა ვიცი, შეიძლება გამოცდილება არ გვეყო. ჩვენი გუნდი შედარებით ახალგაზრდაა, ასაკი გვაკლია. გახსოვს, „შარლოტთან" სერიაში თამაშებში ხშირად ჩვენ ვლიდერობდით. ხშირად კი არა, თითქმის ყოველთვის, მაგრამ ბოლო მეოთხედში ისინი უცებ პატარა გაქცევას მოაწყობდნენ ყველაზე საჭირო მომენტში და შენ დრო აღარ გრჩება, ის 8-10-ქულიანი ჩამორჩენა ამოიღო. ყველაფერიც აქ მთავრდება. ჩვენ კარგები ვართ, ორ-სამ მეოთხედს ისე ვთამაშობთ, ვერავინ გვაჯობებს, მაგრამ რატომღაც ბოლოს, ყველაზე საჭირო მომენტში ვკარგავთ ფოკუსს დაცვაში, შეტევაში, ყველგან. რომ ვთქვა, რაღაც უნდა ვიპოვო-მეთქი, მგონი, დაახლოებით აქ უნდა ვეძებო.

— **იმ სერიაში შარლოტელ ბაირონ დევისთან სიტყვიერი შეხლა მოგიხდათ. რა იყო ეს, სერიოზული უთანხმოება თუ იმ მომენტში გადაღლილობის გამო ამოფრქვეული ემოციები?**

— არაფერი სერიოზული. ეს მხოლოდ ემოციებისგან დაცლა იყო. ვერ ვიტან ზედაძაბულ სერიებს. იქ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა, დაჭიმული ხარ და გინდა, რაღაცაზე ჯავრი იყარო. ასეთ დროს შეიძლება მეტოქეს წაეკიდო, მწვრთნელზე, თანაგუნდელზე ან მსაჯზე გაბრაზდე. ამით განსხვავდება პლეი ოფი რეგულარული სეზონისგან. აქ ნამდვილი მოთამაშეები გამოდიან სცენაზე და ის, რაც სხვა დროს დაფარულია, პლეი ოფში შიშვლდება. ხანდახან ვიღაცას შეესიტყვები, თამაშშიც მთლიანად იხარჯები. ასეთ დროს ყველა პატივს გცემს, მაგრამ, თუ მოედანზე ყველაფერს არ დადებ, თან მეტოქის მიმართ სათანადო, აუცილებელ აგრესიას ვერ ამჟღავნებ, მაშინ ჯაბანი ხარ და მასხარას ემსგავსები.

— **გრანტ ჰილი რომ გყოლოდათ, „შარლოტს" აჯობებდით?**

— ვფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ მკვდარი წერტილიდან დავიძრათ, პირველი წრიდან გავაღწიოთ. აღმოსავლეთში ეს შესაძლებელია. დასავლეთში სხვა ამბავია. იქაურები ტანად დიდები არიან, ჩვენ კი სიმაღლე გვაკლია, მაგრამ აღმოსავლეთში, ვფიქრობ, წინ წავიდოდით. ვინ იცის, იქნებ ფინალშიც გავსულიყავით? მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ, გრანტიანად.

— **და ტიმ დანკანი რომ გყოლოდათ? თქვენი გუნდი კარგა ხანია, მის აყვანას ცდილობს, იქნებ გაისად რამე მოახერხოთ?**

— ოოო... ტიმ დანკანის გადმოყვანა დიდი ამბავია. ძნელია. არა მგონია, ჩვენებმა ეს შეძლონ. მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა ტიმს ჩემს გვერდით დავინახავ.

— **ძნელია, რაიმე არარეალურ ოცნებაზე თავის შეკავება? მაგალითად, ასეთზე — „ეს ბიჭი რომ გვყოლოდა, რა შორს გავფრინდებოდით!"**

— ასე რამეებზე ვფიქრობ ხოლმე, მაგრამ ძილს არ ვიტეხ. იცი, ცხადია, კარგი იქნებოდა, ვინმე დანკანივით ბიჭი გვყოლოდა. ახლა ტიმთან ერთად თამაშზე არ ვოცნებობ. მაგრამ ამჟამად მხოლოდ ჰილთან თამაშზე ვფიქრობ, რადგან ის ჩემი თანაგუნდელია და მაინტერესებს, როგორ შევეწყობით ერთმანეთს. ჩემი სურვილი და საფიქრალიც მხოლოდ გრანტის ბოლომდე გამოჯანმრთელებაა.

— **როგორ ფიქრობთ, „ორლანდოში" თქვენი თამაში უფრო გაუმჯობესდა და სწრაფი გახდა, ვიდრე „ტორონტოში" იყო?**

— მისმინე, ძმაო. „ტორონტოშიც" ასეთივე მოთამაშე ვიყავი, მხოლოდ განსხვავებულ სისტემაში ვთამაშობდი. მაშინ არ იყო ჩემი ელვარების დრო. იქ არ ვიყავი ბიჭი, რომელსაც მთელი გუნდი მიჰყვება. იქ შესაძლოა მესამე, მეოთხე კაცად ვითვლებოდი, მაგრამ, რომ არ მოგატყუო, ყოველთვის ასეთი მოთამაშე ვიყავი. მე აქ მომეცა შესაძლებლობა, მეკეთებინა ის, რაც შემიძლია და მსურს, ესე იგი, გავძღოლოდი ჩემს გუნდს. აქ ამენთო მწვანე შუქი. აღარ მიწევს იმაზე ფიქრი, რომ ჩემი შეცდომით ვიღაცას საქმე გავუფუჭე. გუნდის ლიდერის გაკეთებული გავაფუჭე. ახლა გაცილებით თავისუფლად ვთამაშობ და მგონი, ყველასთვის ასე ჯობს.

— **ზედიზედ ექვსი წელია, „მინესოტა" პლეი ოფის პირველი წრიდან ვარდება და კევინ გარნეტიც მუდამ ამას გაიძახის, რომ მან ყველაფერი გააკეთა გუნდისთვის და იმედგაცრუებულია, რადგან თანაგუნდელებისგან საკმარისი მხარდაჭერა ვერ მიიღო. თქვენც მსგავს სიტუაციაში ხომ არ ხართ?**

— არა. ნაღდად არა ვარ ის კაცი, ვინც საკუთარ მარცხს სხვას გაუყოფს. მე გუნდის ლიდერი ვარ და ჩემი კარგი თამაში თანაგუნდელთა ამგვარსავე თამაშს ნიშნავს. ასე რომ, თუ მე ჩაფლავდი, გუნდიც ჩაფლავდება. ჩემი გუნდის მარცხი თუკი ვინმეს ბრალი იქნება, პირველ რიგში ჩემი და ნაღდად არ ვაპირებ, ჩემი წილი პასუხისმგებლობა სხვას შევაჩეჩო. კი, მესმის გარნეტის, ის არაა სახარბიელო მდგომარეობაში. ძლიერ კონფერენციაში თამაშობს, სადაც ყველაფერი ბევრად რთულია. პირველ წრეში ზედიზედ ექვსჯერ წაგება სასიამოვნო ვერ იქნება და გარნეტი მიზეზს ეძებს. დიახ, მე მესმის მისი, მაგრამ ასეთი არა ვარ, ვინმე სხვა დავადანაშაულო. ვფიქრობ, ასეთ დროს მიზეზები კი არა, მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნაა საჭირო, ამისთვის ხარ ლიდერი. ასეთ დროს საჭიროა, თანაგუნდელებს დაელაპარაკო, გაამხნევო და მათთან ერთად იმუშაო, ხოლო თუ ამეების კეთება არ გსიამოვნებს, ამ ხასიათის კაცი არ ხარ, აუცილებელია, შეიცვალო. ეგრე მგონია, ლიდერობა სხვებზე მეტი ქულის ჩაგდებასა და მეტი ხელფასის აღებაზე ბევრად მეტს ნიშნავს.

# ცრემლის თასი

## კრემლი და ვინუსი: დიიიდი მინუსი





REUTERS მოსკოვიდან

ვინუს უილიამსი, სახეზე განწირულობა რომ გამოხატვია, მაგდალენა მალეევასთან წაგებას ნაღდად არ ელოდა

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ხალიჩა
საპრიზო 2,224 მილიონი $

**ვაჟები**

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — ფერნანდუ მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 7:6 (7:4); **ირჟი ნოვაკი** (4, ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4, 3:6, 6:3; **როჯერ ფედერერი** (5, შვეიცარია) — დენის გოლოვანოვი (რუსეთი) 6:0, 6:1; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:2)

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (5, შვეიცარია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:1, 6:4; **სხიენ შალკენი** (7, ჰოლანდია) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:0; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1, 6:3; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) 6:3, 6:2

იმ დღეს საქმეში ტურნირის მთავარგანთესილი მარატ საფინიც ჩაერთო და სამეორწრეო გზა თუმც სეტისწაუგებლად გაიკაფა, იოლად მაინც არ უმარჯვია. ბრაზილიელმა მელიგენიმ მას ფიცხელი განდაგანა გაუჩალა და მეორე ხელში 4:1-ც კი უგებდა. მაგრამ სკვითმუხლიმმა მატჩის სადავეები ისევ უკუიპყრო და ტაიბრეიკზეც უფრო დამაჯერებლად გაირჯა.

ნამატჩევს მას ძირითადად იმას ეკითხებოდნენ, ემაგ ბულრაობა გადაღლილობის ბრალი ხომ არ იყოო. ალბათ გეხსომებათ — ამისიქითა პარასკევუქმეებზე რუსები მოსკოვში არგენტინელ მედევისებს მასპინძლობდნენ, იქ კარგა გვარიანად ნაჩოგნავები საფინი კი მერე ჰონკონგურ ტურნირზე გადაფრინდა და მისი დაღლილობა-არდაღლილობითაც ჟურნალისტები სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ.

როგორც საფინმა ახსნა, ის ახლა რიგიან ფორმაშია. „საპირველწრეო მატჩის კვალობაზე ცუდად არც მითამაშია — დასძინა მერე — ის ძნელი მეტოქეა, ყველა საფარზე კარგად თამაშობს და გამოუცდელიც არ ეთქმის. მეორე სეტში კი ვინერვიულე, ძალიან არ მინდოდა, საქმე მესამე სეტამდე მისულიყო, სადაც ბედმა შეიძლება კვანტი დაგიდოს და ბითურად გავარდე".

საფინზე გაცილებით ნაკლები ენერგია დახარჯა მეხუთე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა, ვინაც რუს დენის გოლოვანოვს სულ რაღაც 38 წუთში გადაუარა. ფედერერი: „წლეულს მოსკოვში მეორედ ჩამოვედი. ისე კი აქ შარშანაც გახლდით. მაგრამ მაშინ 11 სექტემბერის ემოციები ჯერაც არ გამონელებოდა და კორტზე მთავარეულივით დავბოდიალობდი. ახლა ყველაფერი უკეთაა და ამ მატჩითაც ძალზედ კმაყოფილი ვარ. წლეულს პირველად აქ თებერვალში, სადევისოდ ვიჩოგნავე და რუსთა ორივე სუპერჯილას მოვერიე. ოღონდ ამჟამად ჩემი უმთავრესი მიზანი კაფელნიკოვის ან საფინის დამარცხება სულაც არაა. მსურს, უბრალოდ კარგი ჩოგბურთი ვითამაშო. თუმცა ვერც იმას დავმალავ, რომ შანხაის მასტერსთასში მონაწილეობაც ძალიან მინდა და საამისოდ კარგი შედეგიც მჭირდება".

სხვაფრივ — 2 საათი და 25 წუთი გაგრძელდა ნიჭიერი ფინელის, იარკო ნიემინენისა და ჩილელი მარსელო რიოსის სამსეტიანი ბათქა-ბუთქი. ნიემინენმა, რომელიც კრემლის თასზე პირველად გამოდის, 17 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ სამის გამოყენება მოახერხა.

სამსეტიანივე გამოდგა მეოთხე ნომრად განთესილი ირჟი ნოვაკისა და ჭაბუკი რუსის, მიხაილ იუჟნის შეხვედრაც. იუჟნიმ, ვისაც ერთი კვირის წინ მამა დაეღუპა, 46 უნებლიე შეცდომა დაუშვა და გადამწყვეტ მომენტებშიც საკმაოდ უჯიგროდ თამაშობდა.

თუმცა დღის უმთავრესი მოულოდნელობა მაინც ტურნირზე მეექვსე ჩოგნის მქნევლის, წლევანდელი მეავსტრალიე ტომას იოჰანსონის ოტება გახლდათ. მას მეორე ჩეხმა, წინა კვირაში პალერმოულ ნახევარფინალამდე ნაომარმა ბოგდან ულირახმა აჯობა. შვედს ტრავმის გამო აგვისტოდან აღარ ეთამაშა და ამ მარცხს თავად სწორედ უვარჯიშებლობით ხსნიდა — აქაოდა, ჩოგანი სულ რაღაც 10 დღის დაკავებული მაქვსო.

არადა ულირახისა და იოჰანსონის წინა სამი შეხვედრიდან სამივე ჩეხის გამარჯვებით დასრულდა.

**ქალები**

**პირველი წრე**

**მეგან შონესი** (აშშ) — ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) 6:3, 6:7 (10:12), 6:4; **ელენა დემენტიევა** (8, რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 6:1; **მაგი სერნა** (ესპანეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:2, 2:6, 6:2

**მეორე წრე**

**ამანდა კუცერი** (სამხრეთ აფრიკა) — ელენა დოკიჩი (3, იუგოსლავია) 7:6 (7:1), 3:6, 6:3; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 6:3 **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) 2:6, 6:1, 7:6 (7:3); **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) 6:1, 4:6, 6:4; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) კურნიკოვამ ტრავმის გამო არ ითამაშა; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 6:3

ყველაზე დიდი ღლავი იმ დღეს ცენტრალურ კორტზე გაგორდა — სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუცერმა შარშანდელი ჩემპიონი და წლეულს მესამე ნომრად განთესილი ელენა დოკიჩი დაიფრინა. „სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, ჩემპიონი თუ იყო, ამიტომ ამ გამარჯვებით კიდევ უფრო კმაყოფილი ვარ" — იძახდა მერე.

როგორც მცოდნე ხალხმა მოიგონა, კუცერი კრემლის თასს უკანასკნელად 1996 წელს ეწვია. მაშინ ის პირველ წრეში ტატიანა პანოვას შემოემარცხა. ეს ამბავი ამანდასაც ჩინებულად ახსოვს, მაგრამ მისი აზრით, ახლა იქ უფრო ნელი საფარია და მის ნაუკანახაზევ თამაშს ეს საუცხოოდ შეეფერება.

10 ორმაგი და 73 უნებლიე შეცდომის დამშვები დოკიჩი კი ნამატჩევს დაღვრემილიყო — უამრავ მიქარვასა თუ გამოუყენებელ შანსებს მისტიროდა.

სატირლად ჰქონდათ საქმე ანასტასია მისკინას ქომაგებსაც. ეს უდაოდ ნიჭიერი სკვითგოგო, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ძალზედ აგრესიულად თამაშობს, მკაცრმა და შეკრულმა ამერიკელმა მეგან შონესიმ მოთელა. ამ მარცხის მიზეზს ყველაზე უმალ თავად მისკინამ მიაგნო: „ამ ბოლო დროს ძალიან ბევრ ტურნირზე გამოვედი, ძალიან ბევრი მატჩი ვითამაშე და, რაღა დასამალია, ცოტა დავიღალე კიდეც".

სანაცვლოდ, ადგილობრივმა ქომაგებმა თავიანთი მეორე ფავორიტი, ქერამშვენიერი ელენა დემენტიევა შეინარჩუნეს. ელენა შარშანდელი ფინალისტი გახლავთ და ის ჩოგნის აუკანკალებლად გაუმკლავდა ხორვატ ივა მაიოლის.

აი, ტატიანა პანოვას კი ვერც ქომაგებმა უშველეს და ვერც გადაულელობამ — ფრანგმა ლესბოსელმა ამელი მორესმომ ის 77 წუთში დააჩოქა. აქამდე ერთმანეთს ისინი 6-ჯერ შეხვედროდნენ და ბრგე გალისათვის პანოვას ჩოგანი ერთხელაც ვერ შეუბრუნებია. „ჰო, სადაც შევხვდი, ყველგან ვაჯობე — დაცემულს წიხლს აყოლებდა მორესმო — როგორც წესი, ძალიან ბევრს დარბის და ცდილობს, ყველა ბურთი დაიჭიროს, მაგრამ დაჭერის შემთხვევაშიც ვერაფერს გვნებს, ამიტომაც მასთან თამაშისას შეგიძლია, არაფერზე იდარდო".

გუშინ კი ტურნირზე დიდად უცნაური ამბავი მოხდა — მსოფლიოს 23-ე ჩოგანმა, 27 წლის ბულგარელმა მაგდალენა მალეევამ, რომელიც წონად 57 კილოა, მიწიდან მეტრსა და 68 სანტიმეტრს აითვლის და პროფესიული კარიერის 13 წლის განმავლობაში 8 ტიტული მოუგია, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ვინუს უილიამსი გააბუნძურა.

ვინუსს მოსკოვში 1997 წლის შემდეგ აღარ ეთამაშა, ჩოგანი კი მას შემდეგ აღარ აეღო, რაც 7 სექტემბერს აშშ-ის ღია პირველობის ფინალში თავის უმცროს დაიკოსთან დამარცხდა.

მის მიერ მალეევასთვის დამაჯერებლად მოგებული პირველი სეტის შემდეგ ალბათ მხოლოდ შლეგიანი თუ იფიქრებდა, რომ ყველაფერი საბოლოოდ ასე უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ბულგარელი, ვისაც ვინუსი მათი წინა ოთხი შეხვედრიდან ოთხჯერ დაეჩაგრა, საოცარი შემართებით ათამაშდა, მეტოქეს მისი ორი მოწოდება გაუტეხა და სეტი 23 წამში წაჰგვარა. მერე კი იყო გადამწყვეტი მესამე ხელი, რომელიც თანაბრად და ტოლსწორად მიმდინარეობდა და მალეევას მიერ რამდენადაც კადნიერად, იმდენადვე დამსახურებულად მოგებული ტაიბრეიკით დასრულდა.

ვინუსმა მატჩის [illegible] მაგდალენას სამის წინ [illegible] დამარცხება, მაგრამ 8 ორმაგი და 45 უნებლიე შეცდომის დამშვებმა წაგებულ სეტებში ერთობ მოყოყმანე და არათავდაჯერებული თამაში აჩვენა.

ვინუსი: „კვირების განმავლობაში არ მეთამაშა და მალე დავიღალე. გადამწყვეტ ქულებზე ის საუცხოოდ იროკებოდა, მე კი უამრავი შეცდომა დავუშვი. ეს არ იყო ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი".

მალეევა: „მართალია, ჩვენი პირადი მატჩამდელი სტატისტიკა ცუდს არაფერს აღმითქვამდა, მაგრამ ეს მთავარი არ იყო. უბრალოდ, ვიცოდი, რომ მისი დამარცხება შემეძლო. ისიც ვიცოდი, რომ ბოლო დროს ეუქმა და ნაუქმევს თამაში კი ყოველთვის გიჭირს. ვფიქრობ, მშვენიერი მატჩი გამოგვივიდა".

ვინუსთან ერთად ორგანიზატორებმა გუშინ მეორე სატყუარაც დაკარგეს — ანა კურნიკოვამ წინა დღეს სერიოზულად დაშავებული კოჭი მოისატკივრა და თვისტომ ნადია პეტროვასთან სათამაშოდ არ გასულა. ეჭვობენ, რომ კორტზე გასვლას ის მომავალ წლამდე ველარ მოახერხებს.

სხვათა შორის, 21 წლის სექსკვითი პროფესიონალებს შორის 1995 წლიდან ჩოგნაობს, ამ ხნის განმავლობაში 116 ტურნირზე გამოსულა, მაგრამ — ვაგლახ — ერთი ქეციანი ტიტული რაა, აქამდე იმის მოპოვებაც ვერ მოუხერხებია.

**იაპონიის ღია პირველობა**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 970 ათასი $

**ვაჟები**

**მეორე წრე**

**მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:3, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (6, არგენტინა) — სისილ მამიტი (აშშ) 6:1, 6:0; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:3, 3:6, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (8, ტაილანდი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:4; **კენეტ კარლსენი** (დანია) — დომინიკ ჰრბატი (11, სლოვაკეთი) 6:4, 6:4

წინა დღეს გავარდნილ თვისტომებს — კარლოს მოიასა (3) და ალექს კორეჩას (4) ხუან კარლოს ფერეროც (2) მიჰყვა. კოლომბიჭს ჩოგანი დროზე ადრე 26 წლის შვედმა, მსოფლიოს ოდინდელმა მეორემჩოგნე მაგნუს ნორმანმა დააშალითებინა. მატჩის ბედი გამარჯვებულის მძლავრმა მოწოდებამ და ეისსიუხვემ გადაწყვიტა.

„მან დღეს დიდებულად ითამაშა, ხოლო როცა ასე თამაშობს, მასთან ტოლსწორად ჰაექრობა მხოლოდ რჩეულებს ხელეწიფებათ" — ნაღვლიანად ამბობდა ნამატჩევს ფერერო, ვინაც აზიიდან კეთილად მოსაგონრად ამ უქმეებზე ჰონგ კონგში მოგებულ ტიტულს მაინც გაიყოლებს.

მოიამ და კორეჩამ, ბარემ აქვე შევახსენებთ, შესაბამისად, 27 წლის გერმანელ ალექსანდერ ვასკესა და სლოვაკ კაროლ კუჩერასთან წააგეს. ეს ის ვასკეა, ვინაც ამ რამდენიმე კვირის წინ კინაღამ კაფელნიკოვს მოუგო. „მაშინ რამდენიმე მატჩბურთი ვერ გამოვიყენე — იგონებდა გერმანელი იმ დღეს — ნერვებმა დღესაც შემომიტიეს, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, ამჯერად ნერვებს აღარ წავვგებინები-მეთქი. თავადაც ხედავთ, არც წავვგებინე".

კუჩერა კი კორეჩას ოტების მერე იმას ნაღვლობდა, ამ მატჩს რატომ უფრო ბევრმა ჩემიანმა ვერ უყურაო. „აფსუს, მე ხომ დღეს შეუდარებელი გახლდით. და რა ბედნიერი ვარ, რომ, როგორც იქნა, ამ კაცის დამარცხებაც შევძელი".

**ლევან ძლაურაძე**

## სამპრასი მეშვიდე თვეზეა

პიტ სამპრასი მომავალ წლამდე აღარ ითამაშებს. ასეთი გადაწყვეტილება 14-გზის მესლემტიტულემ ამ დღეებში მიიღო.

სამპრასი: „აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ გარკვეული პერიოდი ყველაფერს განვერიდე — მსურდა, კარგად ამეწონ-დამეწონა, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი მომავალში. მივხვდი, რომ ახლა არ ვარ საკმარისად მზად საიმისოდ, რათა მადრიდის, ბაზელისა და პარიზის ტურნირებზე გამოვიდე".

როგორც კეთილი ენები ამბობენ, სადღაც დეკემბრის დასაწყისში ყველა დროის უდიდესი მეჩოგნე მამა გახდება და ამის გამო ის ალბათ არც გვიანნოემბერში, შანხაიში გასამართ მასტერსთასზე ითამაშებს.

პიტის ამგვარმა გადაწყვეტილებამ ქომაგთა შორის დიდი რამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მილეთი დაშინდა, რომ იგი ჩოგნის საბოლოოდ დაკიდებას აპირებს, თუმცა თავად პიტი გადაწყვეტით ამის შესახებ არც 8 სექტემბრის ნიუიორკული ფინალის შემდეგ ლაპარაკობდა და რაიმე ახალი არც ამ ჯერზე უთქვამს.

ხოლო სანამ უფრო მეტ ინფორმაციას მივიღებდეთ, მხოლოდ იმას გაუწყებთ, რომ მადრიდის, ბაზელისა და პარიზის ტურნირები, რომელთაგან პირველი ორი მასტერსის სერიისაა, შუაოქტომბრიდან ადრენოემბრის ჩათვლით გაიმართება.





იური ნიკოლაევი

არავის გაუკვირდებოდა, თუ ფეხბურთელების დარად, რუსეთის მორაგბეთა ნაკრები თბილისში ჩამოსვლაზე ერთ ამბავს ატეხდა და მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის საქართველო — რუსეთის 13 ოქტომბერს გასამართი მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანას მოითხოვდა. ეს არ მოხდა და, არც მოხდებაო, გვითხრა გუშინ რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იური ნიკოლაევმა და დაადასტურა, რომ საქართველო — რუსეთის სარაგბო ჯახი 13 ოქტომბერს თბილისში ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩატარდება. ნიკოლაევს გუშინ კრასნოიარსკში დავუკავშირდით და რუსეთის ნაკრების სამზადისზეც დავეკითხეთ

# დაუნდობელი ბრძოლა ისტერიის გარეშე

## თბილისი? იყოს თბილისი, ოღონდ უსაფრთხოების გარანტიით

**— საქართველო — რუსეთის საფეხბურთო მატჩის ისტერიის ფონზე არსებობდა ეჭვი, რომ თბილისში თამაშზე თქვენც განგაშს ატეხდით...**

— თავისი საქმისა ფეხბურთელებმა თავად იციან, ჩვენ კი თამაშის სხვაგან გადატანა არ მოგვითხოვია და ამას არც გავაკეთებთ. მატჩი დათქმულ დროს, დათქმულ ადგილზე გაიმართება. ფეხბურთელებმა, რა თქმა უნდა, სწორი გააკეთეს, უსაფრთხოების გარანტია რომ მოითხოვეს. საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობიდან გამომდინარე უსაფრთხოების ზომების მიღება აუცილებელია. ჩვენც ასე მოვიქეცით.

**— თქვენ ვის მიმართეთ?**

— ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გვქონდა კონსულტაციები, მერე საქართველოს რაგბის კავშირს ფაქსით ვაცნობეთ, რომ ჩვენი დელეგაციისთვის და რამდენიმე მხლებლისთვის უსაფრთხოების გარანტია მოეცათ.

**— რა პასუხი მიიღეთ?**

— ქართული მხარე ყველაფერს უზრუნველყოფს. თბილისში ჩამოსვლისთანავე დაცვას გამოგვიყოფენ.

**— თბილისში როდის ჩამოხვალთ?**

— მატჩამდე ორი დღით ადრე — 11 ოქტომბერს. ეს საკმარისი დროა აკლიმატიზაციისთვის.

**— ნაკრებს მწვრთნელებმა ალექსანდრ პერვუხინმა და ჯეიმს შტოფბერგმა შემადგენლობა უკვე შეარჩიეს?**

— ჯერ არა. ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ახლა კრასნოიარსკშია შეკრებაზე. ამათ სამ-ოთხ დღეში ლეგიონერები დაემატებიან. მწვრთნელები თბილისში გამოფრენის წინა დღეს დაასახელებენ შემადგენლობას.

**— მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— დაუნდობელი ბრძოლა იქნება. სასწორზე ბევრი რამ დევს.

**— თქვენი პროგნოზი...**

— შანსები თანაბარია. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— ირლანდიასთან რუსეთის ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— მეტი შეგვეძლო. შესაძლებლის სამოცდაათი პროცენტი ვითამაშეთ. იმედია, საქართველოსთან ბოლომდე ვაჩვენებთ, რაც შეგვიძლია.

**— ირლანდია — საქართველოს მატჩი თუ ნახეთ?**

— მატჩის ვიდეოფირი ჯერ არ მინახავს. დუბლინში ჩვენი კაცი ესწრებოდა ამ მატჩს და მწვრთნელებსაც ყველაფერს მოახსენებდა.

**— ქართველმა მორკინალმა ალეკო მარგველაშვილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ნაკრების კანდიდატი[illegible]ა. მას თუ ჩამოიყვანთ თბილისში?**

— არა. ეგ ზუსტად ვიცი, რომ ალეკო ამჯერად ნაკრებში არ გამოიძახეს.

**ბაჩო სვანიძე**



# დაბოლილი ბოლიდი

## მენგეს მარიხუანა არ შეარგეს

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) სხდომაზე სამაგალითოდ დასაჯეს ჩეხი მრბოლი ტომაშ ენგე და ორიოდე კვირის წინ ფორმულა 3000-ში მოპოვებული ჩემპიონობა ჩამოართვეს.

ავტოსპორტისთვის ეს უიშვიათესი შემთხვევა-სკანდალი აგვისტოს შუა რიცხვებში, უნგრული ეტაპისას აგორდა — „ჰუნგარორინგზე" ბრწყინვალედ მოგებული რბოლის შემდეგ ჩატარებულმა დოპინგ-ტესტმა „არდენ ინტერნეშნლის" პილოტის სისხლში მარიხუანა აღმოაჩინა. იმ ეტაპის შედეგები დროებით ძალაში დატოვეს FIA-ს ვერდიქტამდე ეჭვმიტანილი, ცხადია, კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებას, მისი ადვოკატიც ყოველ ნაბიჯზე აცხადებდა, ეტყობა, ღამის კლუბში სხვისი მოწეულისგან „დაბოლდაო". ამ ვერსიას ვეტერანი მეფორმულე, იაგუარელი ედი ირვინიც უჭერდა მხარს. ცნობისთვის, ენგემ ფორმულა 1-ის შარშანდელ ჩემპიონატში სამჯერ გაირბოლა „პროსტის" მანქანით.

სკანდალური სეზონი იტალიაში, „მონცაზე" რბოლით დასრულდა. ტომაში ფინიშთან მესამე მივიდა, რაც საკმარისი იყო „მთავარი" ფორმულის „უმცროსი ძმის" კლასში მსოფლიოს ჩემპიონობის პირველად მოსაპოვებლად: „ფინიშის ხაზის გადაკვეთისას ვტიროდი. ეს წარმოუდგენელია, მსგავსი გრძნობა ცხოვრებაში არასოდეს განმიცდია" — ემოციებს ვერ ფარავდა 26 წლის პრაღელი.

FIA-ს მსოფლიოს საბჭოს სხდომის მერე, იგი ალბათ მეორედ ატირდა: ანტისადოპინგო კომისიამ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ბუდაპეშტში მოპოვებული 10 ქულა გაუუქმა, რის გამოც ენგე საბოლოოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა, ფორმულა 3000-ის ჩემპიონად კი ფრანგი სებასტიენ ბურდე („სუპერ ნოვა") გამოცხადდა. გარდა ამისა, ჩეხი პილოტი ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. ასეთ მკაცრ განაჩენს ტომაშ ენგე, რასაკვირველია, მწვავედ განიცდის, მაგრამ რაღას იზამს, ამბობს, ფედერაციის ვერდიქტს პატივს ვცემ და უნდა დავმორჩილდე, იმითაც კმაყოფილი ვარ, სამომავლოდ რბოლის უფლება რომ არ აუკრძალავთო.

**გია ახალაძე**



ტომაშ ენგე მკაცრი განაჩენითაც კმაყოფილი დარჩა



# შავი კლავიში ისევ დაუკრავს




კალგარელმა ჯერომ იგინლამ საგამოფენო მატჩებში ხხუბიც მოასწრო

## დასავლეთ კონფერენცია

### ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

**კოლორადო ეველანში**

**მოვიდნენ:** მცველები: ლენს პიტლიკა, დერეკ მორისი; ფორვარდები: დინ მაკამონდი, ჯეფ შანცი

**წავიდნენ:** მცველები დარიუს კასპარაიტისი, პასკალ ტრეპანიე; ფორვარდები: კრის დრური, სტეფან იელი

*2001-02: 99 ქულა და პირველი ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ნახევარფინალში გავიდა*

იმედია, წლეულს კოლორადოს ერთ-ერთი „ღირსშესანიშნაობა", პეტერ ფორსბერგი აღარ იავადმყოფებს, თორემ შარშან მთელი ჩემპიონატი გაუცდა და პლეი ოფსლა შეხვდა სრული ძალით. ისე, გუნდმა უმისოდაც იმარჯვა თავის დივიზიონში, თუმცა ეს საკმაოდ გაუჭირდა, ძალების დიდი მობილიზება დასჭირდა. ხოლო როცა ფორსბერგი დაბრუნდა, კოლორადომ მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით კინაღამ შეუძლებელი შეძლო — დეტროიტს შვიდი მატჩი დასჭირდა მის მოსადრეკად.

ასეა თუ ისე, კოლორადო სწორ გზაზე დგას (ამაზე მინიმალური საზაფხულო ცვლილებებიც მეტყველებს) და, წესით და რიგით, კვლავ იქნება თასის მთავარ მაძიებელთა შორის. შეგახსენებთ, რომ 1998 წლის შემდეგ კოლორადო მინიმუმ თასის ფინალში მაინც გადის.

**ვანკუვერ კენაქსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდი ჯეფ ფარკასი; მეკარე ტაილერ მოსი

**წავიდნენ:** ფორვარდები ენდრიუ კესელსი, ჯოშ ჰოლდენი; მცველები სკოტ ლაშანსი, ჯეისონ სტრადვიკი

*2001-02: 94 ქულა და მე-2 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში პირველი რაუნდიდან გავარდა*

მართლაც საოცარია, როგორ ახერხებს საკმაოდ მწირი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ვანკუვერი წინსვლას. გენერალურ მენეჯერ ბრაიან ბურკის გონივრული საკადრო პოლიტიკისა და მწვრთნელ მარკ კროუფორდის ძალისხმევით ვანკუვერმა არა მარტო დრაფტზე აყვანილთა შენარჩუნება შეძლო, არამედ სხვა გუნდებში ჩამოწერილი მოთამაშეების პოტენციალიც გამოააშკარავა. მარტო მარკუს ნესლუნდის ხსენება რად ღირს. შესაძლოა, ვანკუვერმა წლეულსაც შეძლოს პლეი ოფში გასვლა და რა სახიფათოა კანადური კლუბი სათასო ბრძოლებში, ყველაზე უკეთ დეტროიტმა უწყის. შეგახსენებთ, რომ მომავალი ჩემპიონი 0:2 აგებდა სერიას და შემდეგ ძლივს იხსნა თავი.

**ედმონტონ ოილერსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდი ირჟი დოპიტა

**წავიდნენ:** ფორვარდები იოჰენ ჰეხტი, დომინიკ პიტისი

*2001-02: 92 ქულა და მე-3 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა*

წინა სეზონში ედმონტონმა რეგულარულ ჩემპიონატში კაროლინაზე ერთი ქულით მეტი მოაგროვა, მაგრამ პლეი ოფში ვერ მოხვდა. არადა, აღმოსავლეთში მოასპარეზე „ქარიშხლებმა" ფინალამდე მიაღწიეს. რას იზამს, ასეთია დასავლეთში მოასპარეზე გუნდების ბედი და ედმონტონი უნდა შეეგუოს ამ გარემოებას. თავისუფლად შეგვიძლია, „ოილერსი" ზემოხსენებულ ვანკუვერს შევადაროთ. ისეთივე საფინანსო პრობლემებით შეჭირვებული გუნდი მაინც ახერხებს თვალსასეირო ჰოკეის ჩვენებას და ყოველწლიურად იბრძვის პლეი ოფში გასასვლელად. ხოლო თუ გადის, ხშირად უშწარებს ცხოვრებას ფავორიტებს. თუმცა ხელმოკლეობა არ აძლევს საშუალებას, კიდევ უფრო დიდ შედეგებს მიაღწიოს.

**მინესოტა უაილდი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები კლიფ რონინგი, ბილ მაკოლტი; მეკარე დიტერ კოჩანი

**წავიდნენ:** სტეისი რესტი, აარონ გეივი; მეკარე ჯემი მაკლენანი

*2001-02: 73 ქულა და მე-5 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა*

სულ ორი წელია, მინესოტა ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ უკვე დაიგლო ჯიუტი, უსიამოვნო მეტოქის სახელი. „უაილდი" თუ აგებს, ისე აგებს, მეტოქეს ქანცავს. გუშინდელ ბარტყთან ჯერჯერობით იოლად არავის გაუსეირნია და ეს მაშინ, როცა გუნდი შენების პროცესშია. მთავარია, რომ მინესოტას საფუძველი აქვს, იმედიანად იყოს. მას ჰყავს მომავალი ვარსკვლავი მარიან გაბორიკი, ჩინებულად იყენებს რიცხვმრავლობას, საკმაოდ საიმედოა დაცვა და მეკარეები. ვფიქრობთ, გუნდს ახალმოსული პლეიმეიკერი კლიფ რონინგიც ახეირებს.

**კალგარი ფლეიმსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები კრის დრური, მარტინ ჟელინა, რობერტ დომი სტეფან იელი; მეკარე ჯემი მაკლენანი

**წავიდნენ:** ფორვარდი კლარკ უილმი, დინ მაკამონლი, ჯეფ შანცი; მცველი დერეკ მორისი

*2001-02: 79 ქულა და მე-4 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა*

თავის კანადურ თანადივიზიონელთაგან განსხვავებით, კალგარი ბოლო ხანს ვერ დაიკვეხნის წარმატებით. პლეი ოფში გასვლაც კი სანატრელი გაუხდა გუნდს, რომელიც ათიოდე წლის წინ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. გამონაკლისი არც წინა სეზონი იყო, თუმცა კალგარის ქომაგთ ერთი სასიამოვნოდ მოსაგონარი მაინც შერჩათ. მიხვდებოდით, ჯერომ იგინლას ფანტასტიკურ თამაშს ვგულისხმობთ.

26 წლის შავკანიანი ფორვარდი ელვისებურად შეიჭრა ლიგის ელიტაში და წლეულსაც შეეცდება, დაადასტუროს, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა. ეს-ესაა, იგინლამ გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, ჯიბეც გაისქელა და, ბუნებრივია, წლეულს უფრო მეტი მოეთხოვება.

**სამველ ღარიბიანი**

*საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია ულოცავს*
*ბატონ რაფაელ ჩიმიშკიანს*
*საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში*
*მონაწილეობიდან 50 წლისთავს და უსურვებს*
*ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA CUP უეფას თასი 2002-2003 UEFA CUP
### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) 1:1 **ლიდსი** (ინგლისი) (0:1)

**ირაკლი მოდებაძემ 90 წუთი ითამაშა, 24-ე წუთზე გოლი გაიტანა, 65-ზე გააფრთხილეს**

ლივინგსტონი (შოტლანდია) 4:3 **შტურმი** (ავსტრია) (2:4)

**დავით მუჯირმა 90 წუთი ითამაშა, 47-ე წუთზე გოლი გაიტანა**

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 3:1დ.დ.(2:0) **ჟიჟკოვი** (ჩეხეთი) (0:2)

**შოთა არველაძემ 116 წუთი ითამაშა**

**ანართოსისი** (კვიპროსი) 3:1 ირაკლისი (საბერძნეთი) (2:4)

**თემურ ქეცბაიამ 80 წუთი ითამაშა, მე-10 წუთზე გოლი გაიტანა; ლევან ძობაძე განაცხადში ვერ მოხვდა**

**ბეტისი** (ესპანეთი) 2:1 ზიმბრუ (მოლდოვა) (2:0)

**ლევან გვაზავამ 73 წუთი ითამაშა**

სარტიდი (იუგოსლავია) 0:1 **იფსვიჩ თაუნი** (ინგლისი) (1:1)
**შალკე** (გერმანია) 4:0 გომელი (ბელარუსი) (4:1)
პოლონია (პოლონეთი) 2:0 **პორტუ** (პორტუგალია) (0:6)
**ვერდერი** (გერმანია) 8:0 მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (2:2)
ლორიანი (საფრანგეთი) 3:1 **დენიზლისპორი** (თურქეთი) (0:2)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 0:1 **სპარტა** (ჩეხეთი) (0:3)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) 1:3 **დინამო** (ხორვატია) (0:6)
ქოჯაელისპორი (თურქეთი) 0:1 **ფერენცვაროში** (უნგრეთი) (0:4)
ვარტექსი (ხორვატია) 1:1 **მიდტიულანდი** (დანია) (0:1)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 2:0 **ნაციონალი** (რუმინეთი) (0:3)
უიპეშტი (უნგრეთი) 0:1 **პსჟ** (საფრანგეთი) (0:3)
სარაევო (ბოსნია) 0:5 **ბეშიქთაში** (თურქეთი) (2:2)
**პაოკ** (საბერძნეთი) 4:1 ლეიქსოეში (პორტუგალია) (1:2)
**ვისლა** (პოლონეთი) 6:1 პრიმორიე (სლოვენია) (2:0).
ზენიტი (რუსეთი) 2:1 **გრასჰოპერი** (შვეიცარია) (1:3)
ცსკა (ბულგარეთი) 3:3 **ბლექბერნ როვერსი** (ინგლისი) (1:1)
**ფულემი** (ინგლისი) 2:2 ჰაიდუკი (ხორვატია) (1:0)
**ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) 0:1 კერნტენი (ავსტრია) (4:0)
სტაბეკი (ნორვეგია) 1:2 **ანდერლეხტი** (ბელგია) (1:0)
**პარტიზანი** (იუგოსლავია) 3:3დ.დ.(1:3) სპორტინგი (პორტუგალია) (3:1)
**სლავია** (ჩეხეთი) 5:1 მუსკრონი (ბელგია) (2:2)
სუდუვა (ლიტვა) 0:2 **სელტიკი** (შოტლანდია) (1:8)
ბრონდბიუ (დანია) 1:1 **ლევსკი** (ბულგარეთი) (1:4)
ქსანთი (საბერძნეთი) 0:0 **ლაციო** (იტალია) (0:4)
კიევო (იტალია) 0:2 **ცრვენა ზვეზდა** (იუგოსლავია) (0:0)
გრაცერი (ავსტრია) 1:1 **აპოელი** (კვიპროსი) (0:2)
**ალავესი** (ესპანეთი) 3:0 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) (2:1)
ოდენსე (დანია) 1:0 **სელტა** (ესპანეთი) (0:2)
პუხოვი (სლოვაკეთი) 1:4 **ბორდო** (საფრანგეთი) (0:6)
**იურგორდენი** (შვედეთი) 3:1 კოპენჰაგენი (დანია) (0:0)
**ფენერბაჰჩე** (თურქეთი) 3:1 აიკ (შვედეთი) (3:3)
უტრეხტი (ჰოლანდია) 1:3 **ლეგია** (პოლონეთი) (1:4)
**პარმა** (იტალია) 3:2 ცსკა (რუსეთი) (1:1)
**ვიკინგი** (ნორვეგია) 4:2 ჩელსი (ინგლისი) (1:2)
**ბოავიშტა** (პორტუგალია) 4:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (0:1)
რაპიდი (რუმინეთი) 0:1 **ვიტესი** (ჰოლანდია) (1:1)
ვენტსპილსი (ლატვია) 1:4 **შტუტგარტი** (გერმანია) (1:4)
**მალაგა** (ესპანეთი) 1:0 ჟელეზნიჩარი (ბოსნია) (0:0)
**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 2:1დ.დ.(0:1) ლიტექსი (ბულგარეთი) (1:0)

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**
დინამო 1:1 იურდინგენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**
დარმშტადტი 0:2 ზაარბრიუკენი


REUTERS
რეინჯერსი — ჟიჟკოვი. შოთა არველაძე (მარცხნივ) და „რეინჯერსი" უეფას თასს ჩამოშორდნენ


REUTERS
კიევო — ცრვენა ზვეზდა. ნიკოლა ლეგროტალიე და ნენად ლალატოვიჩი


REUTERS
პარმელმა ადრიან მუტუმ ვალერი გაზაევის ცსკა მოსკოვში უგუნებოდ გაუშვა


REUTERS
სტაბეკი — ანდერლეხტი. ბელგიელმა ქილ დე ბილდემ (№4) მასპინძელთა კარის ბადე ლამის გახია

გამოვიდა სარბიელის დამატება
კროკო
პროფესიონალთათვის
ორშაბათობით ყველა შედეგი,
ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები
ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრემლის წინ

მოსკოვში კრემლის თასის გათამაშება მიმდინარეობს და მასში ბევრი რუსი ჩოგბურთელი მონაწილეობს, მათ შორის კი ანა კურნიკოვა. ამ ოთხიოდე მედიასთან შეხვედრა წითელ მოედანზე გაუმართავს და თამაშიც წამოუწყია. იქვე ყოფილა დევისის თასის რუსთა გუნდის კაპიტანი შამილ ტარპიშჩევიც.




REUTERS მოსკოვიდან

# როზუოლის თამაში

კენ როზუოლი (შუაში) ჩოგბურთის ლეგენდაა. ის არის ავსტრალიის ღია პირველობის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული (1953 წელს, 18 წლისა) და იმავდროულად ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებულიც (1972 წელს, 37 წლისა). ახლა სიდნეიში მომავალი ღია პირველობისადმი მიძღვნილი ლანჩი გამართულა და როზუოლს უთქვამს, ღია პირველობას ჩემი თამაშით გავხსნი, რომელიც იმ ორმოცდაათი წლის წინანდელ მოგებას მიეძღვნებაო. ჩოგბურთის ლეგენდას კი მხარს უმშვენებენ ცურვის ოდინდელი ჩემპიონები კირინ პერკინსი (მარცხნივ) და მაიკლ კლიმი.




REUTERS სიდნეიდან



REUTERS პუსანიდან

# პუსანური ქიტლაჟი

სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში მიმდინარე აზიის მეთოთხმეტე თამაშებზე თავის გამოჩენას ჩრდილოკორეელებიც ცდილობენ. მაგალითად, ეს ტანმოვარჯიშე გოგო, რომელსაც პიონგ კვანგ-სუნი ჰქვია. მოჰამედ ჰანიფ აზამანი, მოჰამედ აზნან რასლანი და მოჰამედ ფირდოუს ლანი კი აზიის თამაშებიდან შინ გამოისტუმრეს. ცხადია, ყველაფერი დოპინგ-ტესტის ბრალია — ბიჭებს სისხლში მორფინი აღმოუჩინეს და, როგორც ამბობენ, ეს შემთხვევა პირველია მალაიზიური სპორტის ისტორიაში.



# დეპრესიური ცოლი

ემბერ ტომასი „ნიუ იორკ ნიკსის" კალათბურთელის, კურტ ტომასის ცოლია. ქალს სახეზეც ეტყობა, რა მომხდარა: კურტს სახლში იმგვარად უჩხუბია, რომ პოლიცია მისულა და ქვეგანყოფილებაში მიუბრძანებია.



REUTERS ნიუ-იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მჭედლიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge